საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რომლისაც ბოჭდეგუნი სიფაქვაა, ფაქტიურებით და ჭიანებით ბუნთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 17 მაისი. 2024 წ. №58 (9738) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი

ქართული ოჯახის სიწმინდეს ევროლიბერალები ვერ დაარღვევენ!

საქართველომ დღეს კიდევ ერთხელ უნდა დაანახოს მსოფლიოს, თუ სად და რა ღირებულებების მხარეს დგას ქართველი ხალხი! სწორედ ქართულ იდენტობაში, ოჯახის პატივისცემაში, კულტურასა და რწმენაშია საქართველოს ღირსეული ევროპული მომავლის, ქვეყნის გამთლიანების და გადარჩენის გასაღები.

2

შალვა პაპუაშვილი:
ევროკავშირისგან ქართველი ხალხი ამას არ იმსახურებს!

9

კახა კალაძე:
„ოცნების“ ხელისუფლების ბედს გადაწყვეტს საქართველოს მოსახლეობა...

დინების წინააღმდეგ, ანუ მადლიერების აპოლოგია

4—5



ქედმაღლური დამოკიდებულებითა და ათასგვარი სანქციის დადებით რუს ხალხს არაფერი დააკლდება, იკითხოს იმან, ვისაც ამ მართლმადიდებელი ერისგან მფარველობა და დახმარება მიუღია, ხოლო სამაგიეროს უმადურობითა და სიძულვილით უხდის.

„სატრანსპორტო დიპლომატიის ანბანი“

7



უდიპლომო პრემიერი ირლანდიაში

8

ლია სტურუა

85

სახლებში მიდის ცრუ და ბასრი სიტყვების ომი, ო, რა შორია და უვალი გზები ღმერთამდე...

7

ცანავების გვარი ამაყობს ღირსეული მამულიშვილებით

6

ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠ ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲙᲝᲑᲐᲮᲘᲫᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲕᲘᲖᲘᲢᲘ ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲨᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲕᲘᲖᲘᲢᲘᲗ ᲘᲛᲧᲝᲤᲔᲑᲐ ᲐᲜᲙᲐᲠᲐᲨᲘ.

ᲐᲜᲙᲐᲠᲐᲡ ᲔᲡᲔᲜᲑᲝᲦᲐᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲐᲔᲠᲝᲠᲢᲨᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲡ ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲐᲖᲓᲣᲚᲥᲐᲓᲘᲠ ᲣᲠᲐᲚᲝᲦᲚᲣ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲘᲠᲔᲑᲘ ᲓᲐᲮᲕᲓᲜᲔᲜ.

ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔᲨᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲓᲐᲮᲕᲔᲓᲠᲘᲡ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲪᲔᲠᲔᲛᲝᲜᲘᲐ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ. ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲙᲝᲑᲐᲮᲘᲫᲔᲡ ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲛᲐ ᲠᲔᲯᲔᲤ ᲗᲐᲘᲤ ᲔᲠᲓᲝᲦᲚᲐᲜᲛᲐ ᲣᲛᲐᲡᲞᲘᲜᲫᲚᲐ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐᲨᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲙᲝᲑᲐᲮᲘᲫᲔ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲓᲐ, ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲕᲘᲪᲔ-ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲘ, ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲓᲒᲠᲐᲓᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲚᲔᲕᲐᲜ ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲕᲘᲪᲔ-ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲘ, ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲩᲘᲥᲝᲕᲐᲜᲘ, ᲡᲐ�გᲐᲠᲔᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲘᲚᲘᲐ ᲓᲐᲠᲩᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ, ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲐᲛᲘᲚᲐᲮᲕᲐᲠᲘ, ᲝᲙᲣ�პᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲓᲔᲕᲜᲘᲚᲗᲐ, ᲨᲠᲝᲛᲘᲡ, ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲛᲘᲰᲔᲘᲚ ᲡᲐᲠᲯᲕᲔᲚᲐᲫᲔ, ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ ᲗᲝᲠᲜᲘᲙᲔ ᲠᲘᲣᲕᲐᲫᲔ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ ᲚᲔᲕᲐᲜ ᲟᲝᲠᲣᲚᲘᲐᲜᲘ ᲐᲮᲚᲓᲜᲔᲜ.

ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲘ ᲨᲔᲮᲕᲓᲐ �თᲣᲠᲥᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲡ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘ ᲘᲧᲝ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲣᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲝᲠᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲡᲢᲠᲐᲢᲔ�გᲘᲣᲚ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲡ, – ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲒ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐ�გᲐᲠᲔᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲛᲐ ᲘᲚᲘᲐ ᲓᲐᲠᲩᲘᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲐᲜᲙᲐᲠᲐᲨᲘ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠ ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲙᲝᲑᲐᲮᲘᲫᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲘᲛᲧᲝᲤᲔᲑᲐ.

ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲗᲥᲛᲘᲗ, ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲢᲠᲐᲢᲔ�გᲘᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲘᲡ ᲕᲘᲖᲘᲢᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚ ᲛᲭᲘᲓᲠᲝ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲜᲒᲔᲑᲡ ᲫᲚᲘᲔᲠ ᲘᲛᲞᲣᲚᲡᲡ ᲨᲔᲡᲫᲔᲜᲡ.

ᲕᲐᲢᲝ ᲨᲐᲥᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ:

ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ ᲨᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲑᲡ ᲦᲘᲠᲡᲔᲣᲚ ᲐᲓᲒᲘᲚᲡ ᲐᲮᲐᲚ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲬᲔᲡᲠᲘ�გᲨᲘ – ᲘᲛᲐᲗ ᲓᲐᲣᲙᲠᲐᲜ ᲢᲐᲨᲘ ᲨᲘᲒᲑᲘᲛᲐᲢᲐᲡᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲠᲝᲗᲔᲑᲡ

ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ მოძრაობის „საქართველო უპირველეს ყოვლისა“ დამფუძნებელი ვატო შაქარიშვილი, პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძის თურქეთში ვიზიტს სოციალურ ქსელში ეხმიანება.

მისი თქმით, ხელისუფლება საქართველოს ღირსეულ ადგილს უმკვიდრებს ახალ მსოფლიო წესრიგში, რაზეც ანკარაში გამართული უმაღლესი დონის მიღებაც მეტყველებს. რაც შეეხება ოპოზიციას, შაქარიშვილის განცხადებით, მათ შეუძლიათ ჟიგიმანტას პავილიონისის და მიხაელ როთის მსგავს ფიგურებს დაუკრან ტაში.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲘᲐ:

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲛᲢᲔᲠᲘ ᲨᲔᲛᲝᲓᲘᲝᲓᲐ, ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲓᲐᲠᲢᲧᲛᲐᲡ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲓᲔᲓᲐ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲡ ᲐᲧᲔᲜᲔᲑᲓᲐ!

ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ, რაც შემიძლია ჩვენს ძვირფას ახალგაზრდებს ვურჩიო, რომ ყოველთვის ყველა დიდი დაპირისპირების, ყველა დიდი ომის, ყველა დიდი ცივილიზაციური შეჯახების ბოლო არის დისკუსია. ყველაფერი მთავრდება საუბრით, – განაცხადა „საზოგადოება ქართულის“ საინიციატივო ჯგუფის წევრმა გიორგი კალანდიამ.

„ჩვენ გვყავს შესანიშნავი ახალგაზრდობა. საქართველოს ახალგაზრდობა არის საუკეთესო. შევხვედრივარ არაერთ ახალგაზრდას უცხოეთშიც, აზიაშიც, ევროპაშიც – ჩვენ მართლა გამორჩეული ქართული ახალგაზრდობა გვყავს. „საზოგადოება ქართულის“ ერთ-ერთი მთავარი მიზანიც და პოსტულატიც არის, რომ ამ პოლიტიკური დაპირისპირების დიდ ტემპერატურაზე თითქოს დისკუსიის, ინტელექტუალური და გონიერი საუბრის სივრცე დაიკარგა.

ჩვენ გვაქვს ამის უნარი, რომ მოვიშოროთ ეს ურთიერთბიზღი, დავსხდეთ და განვიხილოთ, იმიტომ, რომ ორივე მხარეს უნდა ჰქონდეს ერთადერთი მიზანი - ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობა“...

გიორგი კალანდიამ ქართულ ეკლესიასთან დაკავშირებით გერმანიის ბუნდესტაგის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მიხაელ როთის განცხადებაც შეაფასა.

ისტორიკოსის თქმით, როდესაც საქართველოში მტერი შემოდიოდა, პირველ დარტყმას სწორედ საქართველოს ეკლესიას აყენებდა.

– ელემენტარული საქართველოს ისტორია ყველამ იცის. როდესაც მტერი შემოდიოდა საქართველოში, პირველ დარტყმას აყენებდა საქართველოს ეკლესიას. ეს იყვნენ მონღოლები, არაბები, სპარსელები და ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი იყო რუსული იმპერიალიზმი. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ავანგარდშიც პირველი იდგა ეკლესია. ჯერ საქართველოს ავტოკეფალია აღდგა, შემდეგ გამოაცხადა საქართველომ დამოუკიდებლობა. ისე არ ჩაივლიდა, ილია ჭავჭავაძე არ გვეხსენებინა. მინდა პატარა ამონარიდი წაგიკითხოთ, რომელიც ყველას დაავიწყდა. „ქრისტიანობა, ქრისტეს მოძღვრების გარდა ჩვენში ნიშნავდა მთელის საქართველოს მიწა-წყალს, ნიშნავდა ქართველობას. დღესაც, მთელს ამიერკავკასიაში, ქართველი და ქრისტიანი ერთისა და იმავეს მნიშვნელობის სიტყვები არიან. გაქრისტიანების მაგივრად, იტყვიან – გაქართველდაო“. პირდაპირი პარალელი გააკეთა. რა თქმა უნდა ამით ილიას არ გამოურიცხავს არც სამუსულმანო საქართველოს ნაწილი, მაგრამ მან ეროვნული თვითმყოფადობის ნიშანსვეტად სწორედ ეს მიიჩნია. ეს არის ისტორიული პროცესი. ყველა დიდ დამპყრობელთან, ვისთანაც ქართველობას უწევდა შეჯიდება, პირველი დარტყმა საქართველოს ეკლესიაზე მოდიოდა...

ᲨᲐᲚᲕᲐ ᲞᲐᲞᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ:

ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡᲒᲐᲜ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲐᲛᲐᲡ ᲐᲠ ᲘᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲡ!

– ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ადამიანი ხარ რაღაც სოციუმის წევრი, შენ თმობ გარკვეულ თავისუფლებებს, ანგარიშს უწევ სხვებს და გიწევს რაღაც წესებით მოქმედება, ეს გარკვეულწილად გიზღუდავს გარკვეულ თავისუფლებას. სახელმწიფო როცა არის საერთაშორისო თანამეგობრობის წევრი, ის სუვერენიტეტის გარკვეულ დოზას თმობს იმ მხრივ, რომ იზიარებს საერთო პასუხისმგებლობებს. ევროკავშირის წევრობაც გულისხმობს, რომ გარკვეულ საერთო გადაწყვეტილებებში იღებ მონაწილეობას. თუმცა, სუვერენიტეტის ნაწილის დათმობა არ ნიშნავს საერთოდ ჩაბარებას და მე სამწუხარო ტენდენციებს ვხედავ დამოკიდებულებებისა, მათ შორის გუშინ ჩვენი შეხვედრიდან გამომდინარე, რომ ხანდახან არის ასეთი პოზიცია საქართველოს მიმართ, ჩვენთან მოლაპარაკება, დისკუსია და დიალოგი კი არ სურს ზოგიერთებს, სურს ჩვენთვის მითითებების მოცემა და ქართველმა ხალხმა ეს მითითებები უნდა შეასრულოს. ეს არ არის რაღაც სუვერენიტეტის ნაწილის დათმობა, ეს არის მითითებებზე დამყარებული ურთიერთობა და ჩვენ ამას არ ვიზიარებთ.

იქნება ეს კანონი, თუ სხვა საკითხები, რომელზეც ჩვენ ვხედავდით პოზიციას, რომ რადგან ჩვენ ვართ ევროკავშირის წარმომადგენლები და თქვენ გსურთ ევროკავშირის წევრობა, გეუბნები, რომ უნდა იყოს ასე, ე.ი. უნდა იყოს ასე. ასეთი მიდგომები ჩვენთვის მიუღებელია. ასეთი მიდგომით უდგება ჩვენი ოპოზიცია და „ენჯეო“ სექტორი, რომელმაც გახსოვთ, თქვა, რომ ცალ ფეხზე უნდა დავდგეთ, იმისთვის, რომ მიგვიღონ ევროკავშირში, რაც გულისხმობს იმას, რომ ჩვენ უპირობოდ და ყოველგვარი შეკამათების უფლების გარეშე უნდა შევასრულოთ მითითებები, ანუ ჩვენ უნდა გვქონდეს არა მოლაპარაკებები, როგორც ამ პროცესს ჰქვია ფორმალურად, არამედ ჩვენ უნდა გვქონდეს დათანხმებები ჩვენი მხრიდან, სადაც ჩვენ უნდა მოგვცენ მითითებები და დავეთანხმოთ რაღაცებს. ოპოზიციის და „ენჯეოების“ ეს მიდგომა აჩვენებს, რომ მათ სინამდვილეში უნდათ საბჭოთა კავშირის წევრობა და არა ევროკავშირის წევრობა, ამ პრინციპზე საბჭოთა კავშირი იყო დამყარებული, სადაც ცენტრი რასაც იტყოდა, იმას ასრულებდა რეგიონი. ჩვენ ევროკავშირს ასე არ ვხედავთ და არც არის ევროკავშირი ასეთი გაერთიანება, ეს არის თანასწორთა გაერთიანება და ნებისმიერი დამოკიდებულება, რომ ჩვენ რადგან გეუბნებით, ეს ასე უნდა იყოს, ეს არის არასწორი და ქართველი ხალხი ამას არ იმსახურებს“!.

მაინც, რომელი პუნქტი არ მოგწონთ და რატომ, როსტომ ბატონო?!

ეკატერინა ხვედელიძე-ივანიშვილის პასუხი როსტომ ცხვედიანისადმი

– შეუძლებლად ჩავთვალე, უყურადღებოდ დამეტოვებინა თქვენი ემოციური სატელევიზიო მომართვა ჩემ მიმართ. სამწუხაროდ, ვერც მე და ვერც ჩემმა დამ ვერ შევძელით, ჩვენი ბავშვობის მოგონებებში აღგვედგინა თქვენთან ურთიერთობის სცენები, მაგრამ თუნდაც ის ფაქტი, რომ თქვენ იცნობდით ჩემს მამას და ბრძანდებით მისი თაობის წარმომადგენელი, საშუალებას მაძლევს, მოგმართოთ.

უდიდეს პატივს მივაგებ თქვენს თაობას! მადლიერების გრძნობით მინდა, აღვნიშნო, რომ თქვენმა თაობამ, მიუხედავად ბევრი ქარტეხილისა, შეინარჩუნა ჩვენი საქართველო, ქართული ენა და თვითმყოფადობა! დღეს ეს ჩემი თაობის ვალდებულებაა! თქვენ უკვე ბავშვობიდან იწვნიეთ, თუ რას ნიშნავს ომი და ომში დაღუპული გმირების ხსოვნის ტკივილი! თქვენ ასევე კარგად იგრძენით ომის შემდგომი აღდგენის სიმძიმე და მშვიდობის შენარჩუნების სიძნელეები! ცხოვრების ქარტეხილმა ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისთვის გაჩაღებული ბრძოლებიც არ მოგაკლოთ და 2008 წლის ომის ტრაგედიაც გადაგატანინათ! ამდენი ტკივილისა და გამოცდილების მქონე თაობას კი, დამეთანხმებით, გაცილებით მეტი მოეთხოვება, ვიდრე ახალგაზრდა სტუდენტს!

ბავშვობიდან კარგად მახსოვს, თუ როგორ ემზადებოდა მამა გეგმური ოპერაციის ჩატარებისთვის. ეს მაგალითი მუდამ თვალწინ მიდგას. სიცოცხლის ბოლომდე ცდილობდა მამა, თავისი ცოდნა გაეღრმავებინა და არ კმაყოფილდებოდა არსებული ცოდნით და გამოცდილებით. ეს თქვენი თაობის უნიკალურობაა: შეისწავლო სიღრმისეულად საკითხი, გააკეთო ანალიზი და მხოლოდ ამის საფუძველზე გამოიტანო დასკვნა! სწორედ ასეთი შეხედულება მაძლევს საფუძველს, ვიყო დარწმუნებული იმაში, რომ ეს კანონმდებლობა თქვენ არამარტო წაკითხული, არამედ შესწავლილიც გაქვთ! ამიტომ წარმოუდგენლად მიმაჩნია, არ მოგისმინოთ და არ გკითხოთ – გამჭვირვალობის კანონში, კერძოდ, რომელი პუნქტი არ მოგწონთ და რატომ?

მე მზად ვარ, შეგახვედროთ სპეციალისტებს (თქვენთვის მისაღებ ფორმატში), რომლებთანაც შეძლებთ დისკუსიას და თქვენი შესწორებების შეტანას ან მათი არგუმენტების შემდეგ, აზრის შეცვლას. ჩემთვის ძალიან ღირებულია თქვენი და თქვენი თაობის, ისევე როგორც თითოეული მოქალაქის აზრი. დღეს ამ კანონის არასწორმა ინტერპრეტაციამ გამოიწვია საზოგადოების გახლეჩა, ჩემი აზრით კი, ნებისმიერი კონფლიქტი მხოლოდ დიალოგის ფორმატში უნდა წყდებოდეს. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ, ყველას სამშობლოს სიყვარული გვამოძრავებს! მე, პირველ რიგში, ვარ მეუღლე, დედა და ბებია და ჩემთვის, ისევე, როგორც ნებისმიერი მოქალაქისთვის, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, იყოს მშვიდობა ქვეყანაში და ისეთ საქართველოში ვიცხოვროთ, სადაც ქალი ქალობს, კაცი კაცობს, დედას დედა ჰქვია და მამას – მამა! ჩვენ უნდა ვიცხოვროთ ისეთ საქართველოში, სადაც ჯვარი იქნება არა უბრალოდ მოდის აქსესუარი, არამედ ჩვენი რწმენის უწმინდესი სიმბოლო, ისე, როგორც აქამდე იყო საუკუნეების მანძილზე!

დღეს, ისევე როგორც 2011 წელს, მე გვერდში ვუდგავარ ჩემს მეუღლეს და ამსოლუტურად ვიზიარებ მის შეხედულებებს, ვინაიდან ჩემი მეუღლის ინტერესი ყოველთვის სამშობლოს სიყვარულია!

ის ყოველთვის იყო და იქნება ჩვენი ქვეყნის ინტერესების, იდენტობისა და თვითმყოფადობის დამცველი, ვინაიდან მამული, ენა და სარწმუნოება მისი არამარტო გენეტიკური კოდი, არამედ სიცოცხლის არსიც არის!

ჩემთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ საქართველო იყოს მდგრადი, ერთიანი და ძლიერი, ძლიერი ეკონომიკითა და თავისუფალი ხალხით. ასევე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ჩვენი ქვეყანა იყოს ევროკავშირის წევრი, თავისი თვითმყოფადობითა და ტრადიციული, ქრისტიანული ღირებულებებით. არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ ვიყოთ ისეთი ევროკავშირის წევრი ქვეყანა, სადაც დაცული იქნება ადამიანის უფლებები, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება, გარანტირებული იქნება ჩვენი რწმენის თავისუფლება ყოველგვარი თავსმოხვეული ფსევდოიდეოლოგიებისგან. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენც ასეთივე საქართველო გინდათ! კეთილი სურვილებით, მშობლიური სიყვარულითა და პატივისცემით.

ეკატერინა ხვედელიძე-ივანიშვილი

საზოგადოება ქართული

საზოგადოება ქართული:

ჩვენი საუკეთესო პასუხი მიხეილ როთის გამოხტომაზე იქნება...

„საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე, არაერთი დრამატული დღე უნახავს, მაგრამ რაც გუშინ პარლამენტის წინ ვიხილეთ, მაინც გამაოგნებელი იყო. მეგობარი ქვეყნების პარლამენტარები მომიტინგეების წინაშე გამოვიდნენ და სრულიად არაევროპულად მოუწოდეს კონსტიტუციური ჩარჩოდან გასვლისა და გადატრიალების მცდელობები. „ევროპულ ნაკრძალში“ მცხოვრები პარლამენტარების ასეთი ქედმაღლური დამოკიდებულება „ევროპის მეორეხარისხოვანი“ ხალხების მიმართ, არახალია, მაგრამ გუშინდელმა მათმა ქცევამ გადათელა ეთიკის, დიპლომატიის, პარტნიორობისა თუ მეგობარი ქვეყნის ელემენტარული პატივისცემის ყოველგვარი ჩარჩოები.

საზოგადოება ,,ქართული“ კატეგორიულად გმობს ევროპელი პარლამენტარების ამგვარ უდიერ დამოკიდებულებას ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტისა და ხალხის მიმართ.

განსაკუთრებით მიუღებელი იყო გერმანიის ბუნდესტაგის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავჯდომარის ტიმ როთის უტიფარი განცხადება, რომლის თანახმად ის ვერ ხედავს „საქართველოს ნათელ მომავალს საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიასთან ერთად, რომელიც ერთ-ერთი მჭიდრო მოკავშირეა მმართველი პარტიის“.

ქართული სახელმწიფოს არსებობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, ქართული მართლმადიდებლური ავტოკეფალური სამოციქულო ეკლესია ყოველთვის უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობდა ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში და დღესაც ქართველი ერის იდენტობის, ეროვნული თუ სულიერი ფასეულობების დაცვის უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტია.

გვინდა, შევახსენოთ ყველა მეგობარსა თუ პარტნიორს, რომ საქართველო, რომელიც მიილტვის ევროკავშირის წევრობისკენ, დაინტერესებულია ევროპული ფასეულობების გაზიარებით, როგორიცაა: დემოკრატიული მმართველობა, ადამიანის უფლებების და თავისუფლებების დაცვა, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი მართლმსაჯულება, ეფექტური მმართველობა, ძლიერი საბაზრო ეკონომიკა და სოციალური სახელმწიფო.

ეს არის ქართველი ხალხის ისტორიული არჩევანი, რომელსაც უდიდეს ზიანს აყენებს ევროპარლამენტარების ასეთი გამოხტომები, პოლიტიკური სპეკულაცია, ზეწოლა და ე.წ. აბრესიული ნეოლიბერალური იდეოლოგიების ჩვენზე თავსმოხვევის მცდელობები.

ჩვენთვის მიუღებელია ის, რომ საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში მიზანმიმართულად გარედან ხდება იდეოლოგიური შეტევა ეკლესიაზე და სარწმუნოებაზე. ამის ნათელი მაგალითი ვიხილეთ გამჭვირვალობის შესახებ კანონის საწინააღმდეგო აქციებზე, როდესაც ოპოზიციური პარტიების ახალგაზრდა აქტივისტები შეეცადნენ, შეეცვალათ მათთვის უკვე დრომოჭმული ილიასეული ტრიადა „ენა მამული სარწმუნოება“ – მამული, ენა, ერთობით.

საქართველო, როგორც უძველესი ტრადიციების მქონე სახელმწიფო, რომელსაც ევროპულ კულტურასთან სწორედ ქრისტიანული ფასეულობები აკავშირებს, უცილებლად გახდება ევროკავშირის სრულფასოვანი წევრი, რომელიც არასდროს იტყვის უარს მრავალი თაობის მიერ სისხლით მოპოვებულ ეროვნულ სუვერენიტეტზე, სახელმწიფოებრიობაზე, სარწმუნოებაზე და ქართულ ოჯახზე, მოსწონს ეს თუ არა ბატონ როთის, რომელიც როგორც მედიიდან გახდა ცნობილი, ლგბტ თემის წარმომადგენელია.

წარმოგვიდგენია, თუ რა რეაქციები ექნება მას პარლამენტში შესულ ახალ კანონპროექტზე, რომელიც სწორედ რომ ლგბტ პროპაგანდის წინააღმდეგაა მიმართული. ჩვენი საუკეთესო პასუხი მიხეილ როთის გამოხტომაზე იქნება 17 მაისს, ქართული ოჯახის დღეს, ჩვენი ევროპელი მეგობრებისა და მოკეთეებისთვის ჩვენი ერთიანობის მძლავრი დემონსტრირება“.

* * *

თბილისში ვიზიტით მყოფმა გერმანიის ბუნდესტაგის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ მიხეილ როთიმ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა: „როგორ უნდა შექმნა ნათელი მომავალი საქართველოსთვის ახალგაზრდა თაობის გარეშე, მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესიით, ერთ-ერთი ყველაზე უფრო მჭიდრო მოკავშირისა მმართველი პარტიისა? ეცადეთ აბა ამის გაკეთება – ტვინების გადინება იქნება სრული კატასტროფა თქვენი ქვეყნისთვის. ეს არის ჩემი გზავნილი“.

საქართველოს საპატრიარქო:

მიხეილ როთის განცხადება სრულიად გაუგებარი, უადგილო და მიუღებელია!

საქართველოს საპატრიარქო გერმანიის ბუნდესტაგის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე მიხეილ როთის განცხადებას ეხმიანება.

„გუშინ საქართველოში ევროპის ქვეყნებიდან ჩამოსულ სტუმართა შორის იმყოფებოდა გერმანიის ბუნდესტაგის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე მიხეილ როთი, რომლის განცხადებამაც უარყოფითი გამოხმაურება გამოიწვია საზოგადოებაში, განსაკუთრებით – მორწმუნეთა შორის. მან თავის განცხადებაში ბრძანა: „როგორ უნდა შექმნათ ნათელი მომავალი საქართველოსთვის ახალგაზრდა თაობის გარეშე?! მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესიით, რომელიც მმართველი პარტიის ყველაზე მჭიდრო მოკავშირეა?!“

ეკლესია მუდმივად ცდილობს საზოგადოებაში დაპირისპირების აღმოფხვრას. მან კი ამ განცხადებით ეკლესია გამიჯნა ახალგაზრდობისა და ქვეყნის ნათელი მომავლისაგან. ეს არის ევროპული ქვეყნის სახელმწიფო მოხელისგან სამწუხარო მცდელობა ეკლესიის სტიგმატიზაციისა და თანაც ასეთ რთულ ვითარებაში.

გვსურს, ვუპასუხოთ ბატონ მიხეილს, რომ ჩვენ არ ვყოფთ არც ახალგაზრდებს და არც ასაკოვან ადამიანებს იმის მიხედვით, ვინ რა პლატფორმაზე დგას. ჩვენი ახალგაზრდები ეკლესიის წევრები არიან, მის ნიაღში იყვნენ და არიან სხვადასხვა პოლიტიკური ძალის წარმომადგენლებიც. ეს ჩვენთვის ბუნებრივი მდგომარეობაა.

ამდენად, ბატონი მიხეილის განცხადება სრულიად გაუგებარი, უადგილო და მიუღებელია“!

დინების წინააღმდეგ,



ბერდიაკონი
გრიგოლ რუხაძე

მთავარი მიზეზი, რომელმაც ქართველი ხალხი დღევანდელ მდგომარეობაში ჩაგვაყენა, ჩემი ღრმა რწმენით, ეს არის მძიმე ცოდვა უმადურობისა, რომელსაც გარეშე ძალების ხელშეწყობითა და ჩვენი უმეცრებით სახელმწიფო გადატრიალებისკენ მივყავართ. წერილში გამოთქმული აზრების ციტირებას მოვერიდები, ვინაიდან ისინი ვრცლად და დასაბუთებლად გადმოცემულია ჩემ მიერ გამოცემულ მონოგრაფიაში „დოკუმენტური ცნობები ეგზარქოსებისა და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან“ (წიგნი I, 2023).

რევოლუციონერი ახალგაზრდების იმ ნაწილს, რომელიც აზროვნებს, მაგრამ აქციებში სტიქიურად მონაწილეობს და დაუკვირვებლობის ან ინფორმაციის ნაკლებობის გამო ახლანდელ პოლიტიკურ მოვლენებს ლოგიკურ ახსნას ვერ უძებნის, მინდა ყურადღება მივაქცევინო არსებით მხარეზე იმ დრამისა, რომელშიც ვირტუალური რეჟისორის შთაგონებითა და უცნობი ლიბრეტოს მიხედვით გულანთებული პატრიოტის როლს თვით ასრულებს. ურთიერთგაგებისთვის კი აუცილებელია, ვაღიარებდეთ „მამულს, ენასა და სარწმუნოებას“, როგორც ქართველი ერის ღირსეულად მყოფობის უმაღლეს და მთავარ ფასეულობებს. ასევე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ცნება სარწმუნოებისა არა მარტო წმინდა საღმრთისმეტყველო დებულებების, არამედ ზნეობრივი მცნებების დაცვასაც გულისხმობს; ე.ი. მისი ძირითადი პოსტულატები არა მარტო დოგმატებს, არამედ სიმართლეს, პატიოსნებასა და სიმდაბლესაც მოიცავს.

ახლა კი გადავიდეთ მთავარ თემაზე, რამაც მე საზოგადოდ გავრცელებული შეხედულების წინააღმდეგ აღმძრა: თანამედროვე არასამთავრობო, ანუ უცხო ქვეყნების მიერ დაფინანსებული ორგანიზაციების, ე. წ. ექსპერტებისა თუ პოლიტოლოგების საერთო აზრი ანტირუსულ განწყობას ნერგავს და ისტორიულ ვითარებასაც ისე წარმოადგენს, რომ თითქოს რუსი ერისადმი დაპირისპირება და მტრობა ქართველთათვის გუნებრივი მდგომარეობა იყოს. დღევანდელი ჩვენი საზოგადოება ისე მიეჩვია რუსეთის სახელმწიფოსა და რუსი ერის აუგად მოხსენიებას, რომ განსხვავებულ შეხედულებას მტრობად ან, უკეთეს შემთხვევაში, უმეცრებად მიიჩნევს. მაშინ, როცა უხერხულიც კი უნდა იყოს შეხსენება იმისა, რომ ამ რაოდენობრივად დიდ ერს შესაბამისი დონის მეცნიერები, მწერლები, ხელოვანები, რელიგიისა და კულტურის მოღვაწენი ჰყავს.

ქედმაღლური დამოკიდებულებითა და ათასგვარი სანქციის დადებით რუს ხალხს არაფერი დააკლდება, იკითხოს იმან, ვისაც ამ მართლმადიდებელი ერისგან მფარველობა და დახმარება მიუღია, ხოლო სამაგიეროს უმადურობითა და სიძულვილით უხდის.

* * *

დავუშვათ, თანამედროვე ქართველს არ მისცემია საშუალება ობიექტურად განხილული ისტორიის გაცნობისა; ან არ უცხოვრია საბჭოთა კავშირის არსებობის დროს, როცა თხუთმეტი რესპუბლიკის შემადგენლობაში საქართველოცა და რუსეთიც ერთი სახელმწიფოს წევრნი ვიყავით; ან უშუალო ურთიერთობა არასდროს ჰქონია რუსი ეროვნების ადამიანებთან, მაგრამ ის ხომ მაინც იცის, რომ დღეს ქართველ ემიგრანტთა დიდი ნაწილი, დაახლოებით მილიონი კაცი, რუსეთშია დასაქმებული და ოჯახისთვის საარსებო სახსარს იქიდან გზავნის. ნუთუ რუსეთის ცნობილ აკადემიებსა და უნივერსიტეტებში ცოდნის შეძენა, ნაირგვარი პროდუქციის სასარგებლო ექსპორტ-იმპორტი, ბოლოს და ბოლოს, ნათესაური და მეგობრული კავშირ-ურთიერთობანი საბაბია იმისთვის, რომ რუსოფობიით მთელი სოციალური გარემო დასნეულდეს?

* * *

განსაკუთრებით სავალალოა, რომ ფონს ამ ფობიისთვის მედიასა და ინტელიგენციასთან ერთად სასულიერო დასი ქმნის (რაც ბერი, ის ერი); ზოგი მღვდელმთავარი ჩვენ მეზობლად „ბოროტების იმპერიის ნაშთს, მტერსა და მოძულეს“ ჭვრეტს, ხოლო ჩრდილოელი მეზობლისადმი სიმპათიის გამოხატვისთვის ყველას „ერის მოღალატედ“ აცხადებს. ისტორიული ფაქტების ზერელე ცოდნითა და უსაფუძვლო არგუმენტებით საქვეყნო საქმეთა განსჯა სარგებლობას ვერავის მოუტანს. ყოველ შემთხვევაში, ჩვენს დიდ წინაპართა — ~ ვახტანგ გორგასლის, ~ გიორგი მერჩულის, ~ ილია მართლის და მრ. სხვ. — ნაანდერძევისა და გამოცდილების გათვალისწინება მაინც აუცილებელია, რომ ერთმორწმუნე ერების, მით უმეტეს მეზობლის, კეთილ საქმეთა დაფასება შევძლოთ და კიდევ ერთ სულიერ სნეულებას, უმადურობის ცოდვას არ ვეზიაროთ.

* * *

ჩვეულებრივ, პოსტსაბჭოთა ქართული ისტორიოგრაფიის მიერ შემუშავებული ტენდენცია რუსეთის იმპერიის საეკლესიო პოლიტიკას, საქართველოსთან მიმართებით, აქცევს მკაცრად განსაზღვრულ ჩარჩოში: ქართული ენის დევნა, სასულიერო განათლების რუსიფიკაცია და ქართველი სამღვდელოების დევნა-შევიწროება. მაშასადამე, რუსეთის საბოლოო მიზანი ქართველი ერის გადაგვარება, ეროვნული თვითშეგნებისა და მშობლიური ენის აღმოფხვრა, რუს ერთან ასიმილაცია და შერწყმა უნდა ყოფილიყო. ეს იდეოლოგიური ტენდენცია იმდენად მომთხოვნია ავტორთა მიმართ, რომ უმეტეს შემთხვევაში ისტორიული თხზულებები რუს მოღვაწეთა დამსახურებას ან რუსეთის კეთილისმყოფელ გავლენას საერთოდ ვერ ასახავენ.

* * *

ნუთუ გონიერების საზღვრებს სცდება ლოგიკურად წარმოქმნილი კითხვები: თუ რუსეთის ძლიერ სახელმწიფოს ქართველთა გადაჯიშება მართლაც ჰქონდა განზრახული და ამისთვის საეკლესიო და საგანმანათლებლო იდეოლოგიურ პროგრამას თანმიმდევრულად განახორციელებდა, მაშინ მას რამ შეუშალა ხელი, რომ ორი საუკუნის განმავლობაში, 1801-დან 1991 წლამდე, მიზანს ვერ მიაღწია? თუ, ერთი მხრივ, მაჰმადიანურ სახელმწიფოთა წინააღმდეგ საქართველოსა და რუსეთის სტრატეგიული ინტერესები ყოველთვის ერთმანეთს ემთხვეოდა, ხოლო, მეორე მხრივ, ორი მეზობელი ერის სტრატეგიული მოკავშირეობის სიმტკიცეს ერთი სარწმუნოების ფაქტორი განსაზღვრავდა, მაშინ რა სარგებლობის მომტანი უნდა ყოფილიყო რუსეთისთვის მორალურად გატეხილ, ეროვნებადაკარგულ და ფიქციურ ერთან პარტნიორობა?

ქედმაღლური დამოკიდებულებითა და ათასგვარი სანქციის დადებით რუს ხალხს არაფერი დააკლდება, იკითხოს იმან, ვისაც ამ მართლმადიდებელი ერისგან მფარველობა და დახმარება მიუღია, ხოლო სამაგიეროს უმადურობითა და სიძულვილით უხდის.

უკეთუ ქრისტიანული მცნებები არ ვაქციეთ ნეოლიბერალიზმთან იდეური ბრძოლის საშუალებად, მაშინ ეროვნული გადაგვარების თავიდან აცილებასაც ვერ შევძლებთ. გლობალიზაციის ადეპტები უკვე სახელმწიფოთა კანონმდებლობებზეც ზემოქმედებენ და ერთნაირსქესიანთა ქორწინებით, ნარკოტიკების ლეგალიზაციითა და ლგბტ-თა პრივილეგიების აღიარებით მომავკვდინებელ ცოდვათა დაკანონებას ახერხებენ. ფაქტობრივად, მათი საქმიანობა სახელმწიფოებრივ მმართველობათა წინააღმდეგ არის მიმართული, რადგან თავიანთ ხალხებზე ზრუნვის ნაცვლად ხელისუფალთ აიძულებენ, რომ ერის გამრავლების საწინააღმდეგო და ეროვნული გადაგვარებისთვის შექმნილი კანონები მიაღებინონ.

* * *

ამჟამინდელ რთულ სოციალურ პროცესებს სერიოზული ანალიზი სჭირდება. პირველ რიგში, ისტორიული კანონზომიერებანი უნდა გვარწმუნებდეს, რომ რელიგიური ფაქტორის გათვალისწინების გარეშე ყოველგვარი კვლევა უსარგებლოა, რადგან ყველა ბოროტების თავადი განსაკუთრებული სისასტიკით ჭეშმარიტე-



კი — ევროპას, და არა — რუსეთს!.. მეტი თქვენ რა გითხარით! სიკვდილისთვის, ერთხელ მაინც, თვალებში თუ ჩაგიხედავთ, მიხვდებოდით: წუთისოფელი არ ღირს იმად, რომ მისი წარმავალი ფასეულობები წარუვალზე გაცვალო!

ანუ მადლიერების პოლოგია

გას, ანუ მის მცველს, მართლმადიდებელ ეკლესიას ებრძვის, რომლის თავი – მისი დამთრგუნველი – უფალი იესო ქრისტეა. მაგალითად, რა კავშირია ნეოლიბერალურ იდეოლოგიასა და რუსოფობიას შორის? განა არ შეიძლებოდა ანტიეროვნული და ანტიმართლმადიდებლური იდეებით მანიპულირება რუსების სიძულვილის გარეშე? – მსოფლიოზე გაბატონების მსურველებმა იციან, რომ რუსეთის სახელმწიფო მართლმადიდებლობის ციტადელია. მისი ძლიერების გარეშე თანამედროვე მართლმადიდებელი ერები **განწირული არიან გლობალისტურ-ამორალური ტყვეობისათვის, რომელიც, როგორც უკვე ჩანს, სისასტიკით აქამდე არსებულ ყველა რეჟიმს აღემატება და მისი დამყარების შემთხვევაში ღირსებას მხოლოდ რჩეულები თუ შეინარჩუნებენ.** მართალია, რუსეთის მიმართ სათანადო მადლიერებას ყველა ადგილობრივი ეკლესია ვერ იჩენს, მაგრამ იგი, მადლობა ღმერთს, მართლმადიდებელთა მფარველობის მისიას უკვე ექვსი საუკუნეა უანგაროდ აღასრულებს: „ყოვლის ქრისტიანის შემნახავნი ეგენი არიან“. აქედან გამომდინარე ადვილი მისახვედრია, თუ რატომ ცდილობს ერეტიკული დასავლეთი ყოველი მხრიდან შემოეჭდოს რუსეთის საზღვრებს.

* * *

თითქოს დასავლეთმა(აშშ, ევროპა) ყველა დასახული მიზანი განახორციელა: სოციალისტურ სახელმწიფოთა კავშირი დაარღვია, სსრკ დაშალა, გავლენის გასაფართოებლად ფერადი რევოლუციებიც მოაწყო, ხოლო რუსეთსა და საქართველოს შორის ისეთი შუღლი ჩამოაგდო, რომ მეზობელი სახელმწიფოები დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენასაც ვერ ახერხებენ; საქართველო კი, მიუხედავად „ნაციონალთა“ რეჟიმის დამხობისა, 2008 წლის კონფლიქტის ორგანიზატორს ოფიციალურად დღემდე ვერ ასახელებს და მოლაპარაკების დაწყების პერსპექტივასაც ვერ ქმნის; მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, დასავლეთმა რუს და ქართველ ერებს შორის სულიერი ნათესაობის გაწყვეტა ვერ შეძლო.

* * *

ვერც შესძლებს! იმიტომ, რომ მართლმადიდებლებს ერთმანეთი უნახავადაც უყვართ და ერთმანეთისთვის განსაკუთრებით ლოცულობენ. როგორ უნდა ავუხსნათ ათეისტ ამერიკელს ან ევროპელს, რომ მართლმადიდებლებს მტრებიც კი უყვართ და მათი გადარჩენისთვის ღმერთს ევედრებიან. ერთობის ეს ფენომენი რომ ვინმეს აუხსნა, უფალი იესო ქრისტე უნდა სწამდეს, რომელიც თავის წმიდა ეკლესიაში შემოკრებილ მართალ ადამიანებს, განურჩევლად ეროვნებისა, უძლეველი მადლით მფარველობს. ოცი ს-ის განმავლობაშიც კი ვეღარ გაიგეს ჭეშმარიტებისა და სიყვარულის მტრებმა, რომ ჰეროდეც, ნერონიც და დიოკლეტიანეც... ფარისეველნიც, მწიგნობარნიც და მთელი სინედრიონიც... ხალიფებიც, ხონთქრებიც და შაჰებიც ვერაფერს გახდნენ ქრისტეს წინააღმდეგ, და ვერც ვერასდროს ვერაფერს გახდებიან!

* * *

თუმცა, ქრისტეს უძლეველობა და მასზე მინდობა არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ მოქმედება არ მოგვეთხოვება. პირიქით, ქრისტიანს საზოგადოებრივი და პიროვნული პასუხისმგებლობა ერთნაირად აკისრია, რადგან სხვისთვის გაკეთებული სიკეთით მუღავნდება მისი სარწმუნოება და სიყვარული, ანუ ის ძირითადი თვისებები, რომელნიც არიან აღმასრულებელნი ქრისტიანული სჯულისა.

* * *

გაუცნობიერებელი რუსული საფრთხობელა განსჯის საშუალებას არ აძლევს იმ ადამიანებს, რომლებიც საერთოდ არ იცნობენ რეალურ ისტორიას (ან სად უნდა ესწავლათ?) და ნაცვლად სერიოზულად დაფიქრებისა, თავიანთი უმეცრების გადაფარვას მიტინგური შეძახილებით, უზრდელობითა და უპასუხისმგებლო მასაში გათქვეფით ცდილობენ.

მიუხედავად იმისა, რომ ევროპეიზაციის მომხრე სულაც არ ვარ, ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლების პრინციპულობას ნათლად ვხედავ და მის თავდადებულ ზრუნვას ქართველი ერის გადასარჩენად და მშვიდობის შესანარჩუნებლად გულწრფელად ვაფასებ. ამასთან, მკითხველს შევახსენებ, რომ 2011 წელს „ქართულმა ოცნებამ“ ნაცებისგან ნაწილობრივ განთავისუფლებული ხელისუფლება მაშინ ჩაიბარა, როცა ამერიკას ქვეყნის მართვის სადავეები უკვე ხელში ჩაგდებული ჰქონდა და მან კოჰაბიტაცია, მთელი იდეოლოგიური შემადგენლით (უპირობო ევრო-ატლანტიკური კურსი, დამნაშავე ნაცებისადმი ლოიალობა და, რაც მთავარია, რუსოფობია), ახალ მთავრობას იძულებით მიაღებინა.

ჩვეულებრივ, პოსტ-საბჭოთა ქართული ისტორიოგრაფიის მიერ შემუშავებული ტენდენცია რუსეთის იმპერიის საეკლესიო პოლიტიკას, საქართველოსთან მიმართებით, აქცევს მკაცრად განსაზღვრულ ჩარჩოში: ქართული ენის დევნა, სასულიერო განათლების რუსიფიკაცია და ქართველი სამღვდელოების დევნა-შევიწროება. მაშასადამე, რუსეთის საბოლოო მიზანი ქართველი ერის გადაგვარება, ეროვნული თვითშეგნებისა და მშობლიური ენის აღმოფხვრა, რუს ერთან ასიმილაცია და შერწყმა უნდა ყოფილიყო. ეს იდეოლოგიური ტენდენცია იმდენად მომთხოვნია ავტორთა მიმართ, რომ უმეტეს შემთხვევაში ისტორიული თხზულებები რუს მოღვაწეთა დამსახურებას ან რუსეთის კეთილისმყოფელ გავლენას საერთოდ ვერ ასახავენ.

მაშასადამე, „ქართული ოცნების“ გამარჯვების შემდეგ აშშ-მა იმისთვის, რომ მის მიერ უზურპირებულ მმართველობის საჭესთან ახალი ძალისთვის მიახლოების საშუალება არ მიეცა, შეიმუშავა კოჰაბიტაციის კონცეფცია, რომელიც ნაცებთან შეგუების გარდა ქვეყანაში უკვე დანერგილი იდეოლოგიის გაზიარებასაც გულისხმობდა. ჩვენი ხელისუფლება დათმობაზე წავიდა და რუსოფობიაც, როგორც კოჰაბიტაციის შემადგენელი იდეა და ანკესზე წამოცმული სატყუარა, იძულებით ჩაყლაპა. როგორც ჩანს, დასავლეთი აღნიშნული ულტიმატუმის გაფორმებით, ანუ „ოცნების“ ანკესზე წამოგებით, იმედოვნებდა, რომ „თევზი“ უკვე დაჭერილი ჰყავდა და მისი ნაპირზე გამოთრევა ნებისმიერ დროს შეეძლებოდა.

* * *

აღმოჩნდა, რომ გლობალური ომის პარტია მწარედ შეცდა და ეროვნული იდეით გაერთიანებულმა საქართველოს მთავრობამ არა მარტო «გამოთრევაზე» თქვა უარი, არამედ სუვერენობის განსამტკიცებლად «უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ» კანონის მიღება გადაწყვიტა.

* * *

სამწუხაროდ, დასავლეთმა ამ ბოლო სამი ათეული წლის განმავლობაში არა მარტო ქართული პოლიტიკური იდეოლოგიის, არამედ მრავალი ადამიანის აზროვნების ოკუპაცია მოახდინა და ახლა ამ ოკუპირებულებს ჰგონიათ, რომ მთავარი ოკუპანტი რუსეთია! ოკუპირებულები ვეღარ აცნობიერებენ, რომ არაადეკვატური ლოზუნგით „არა რუსულ კანონს“ ლგბტ-ისა და ნაცების მასას შეეზავნენ და თვითკონტროლის უნარი სრულიად დაკარგეს. ისინი პარადოქსულ მდგომარეობაში იმყოფებიან: გმობენ ლგბტ-ს და იმავდროულად იზიარებენ მათი იდეოლოგიის უმნიშვნელოვანეს ელემენტს, რომლის მიხედვით რუსეთი, როგორც დასავლური და ანტიქრისტიანული დიქტატურის ძლევამოსილი მოწინააღმდეგე, მთავარ დაბრკოლებად მოიაზრება.

ძალადობასა და პროვოკაციებს აყოლილმა პროტესტანტებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ რევოლუცია მათ არცერთ შემთხვევაში სიკეთეს არ მოუტანს. ერთი მხრივ, სახელმწიფო ნაცებს კიდევ ერთ ფერად რევოლუციას არ განახორციელებინებს; მეორე მხრივ, ისედაც საომარ მდგომარეობაში მყოფი რუსეთი, საქართველოს მხრიდან მეორე ფრონტის გახსნამდე ტანკებით შემოვა საქართველოში და უაზროდ ატროკებულ ქვეყანას იძულებით დააწყნარებს! მერე კი რამდენიც გინდა იყვირეთ: კი — ევროპას, და არა — რუსეთს! მეტი თქვენ რა გითხარით! სიკვდილისთვის, ერთხელ მაინც, თვალებში თუ ჩაგიხედავთ, მიხვდებოდით: წუთისოფელი არ ღირს იმად, რომ მისი წარმავალი ფასეულობები წარუვალზე გაცვალო!

08.05.2024.

გვარი ამაყობს ღირსეული მამულიშვილებით

ცანავეგის გვარი სავარაუდოდ XVIII საუკუნიდან იღებს სათავეს. გვარის შესახებ ინფორმაცია საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული (არქივში არსებული წმინდა გიორგის ეკლესიის ჩანაწერებით) დასტურდება. გვარის მოხსენიება იწყება 1841 წლიდან,

ცანავეგის საერთო რაოდენობა საქართველოში 1768 ადამიანია, მათ შორის: თბილისში – 414, მარტვილში – 254, ზუგდიდში – 168 ცანავა ცხოვრობს, ხოლო სენაკში, აბაშაში, ფოთსა და დანარჩენ რაიონებში დასახლებულია უფრო მცირე რაოდენობა.

ცანავეგის გვარის წარმოშობის ადგილია მარტვილი, სოფელი ნახუნაო, სოფელში არის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია და გვარის წმინდანადაც აღიარებულია წმინდა გიორგი.

გვარის წარმოშობაზე საარქივო მასალები და ისტორიული დოკუმენტები ჯერ-ჯერობით არაა შესწავლილი. გვარში არსებული გადმოცემით, ნიკოლოზ გრიგოლის ძე ცანავას ხელნაწერში მოხსენიებულია მისი ბაბუა ნიკო კაციას ძე ცანავა (გარდაიცვალა 1947 წელს, 113 წლის ასაკში), რომლის მონაყოლით გვარის წარმოშობა სვანეთიდანაა, კერძოდ სოფელ ცანადან, რომელიც მდებარეობს ლენტეხის მუნიციპალიტეტში, მდინარე ცხენისწყლის მარჯვენა მხარეს. ბატონთან უთანხმოების გამო სვანეთიდან გამოქცეული ორი ძმა ხონის რაიონის სოფელ ჟუკში ჩასახლებულა (მათი სახელი და გვარი უცნობია, ასევე უცნობია ზუსტი თარიღიც). აქედან ერთი ძმა იქვე, მარტვილში, სოფ. ნახუნაოში ჩასიძებულა. ბევრი შვილი ჰყოლია, ისინიც გამრავლებულან და ზოგი – ცანავად და ზოგი ცააძის გვარზე დაწერილან.

ცანავათა საგვარეულო დაფუძნდა 1990 წელს, ხოლო საგვარეულო კავშირი საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა 2011 წლის 16 მაისს, ამავე წლის 9 ოქტომბერს გვარი დალოცა პატრიარქმა, იკურთხა გვარისთვის დაწერილი წმინდა გიორგის ხატი და საგვარეულო დროშა.

2016 წლამდე გვარის წინამძღოლი იყო რეზო ცანავა, საგვარეულოს ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელი. გარდაიცვალა 2016 წელს. რეზო ათეული წლების განმავლობაში მუშაობდა ტრანსპორტის სამინისტროში ხელმძღვანელ თანამდებობებზე.

2017 წლიდან გვარის წინამძღოლია გიგლა ცანავა.

კურთხევის შემდეგ გვარი აქტიურად მონაწილეობს სრულიად საქართველოს გვარეების წინამძღოლთა დარბაზის მიერ ჩატარებულ ღონისძიებებში.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ როგორც მრავალ ქართულ გვარებში, ცანავათა გვარშიც არაერთი ღირსეული წარმატებული მამულიშვილია, რომლებმაც ასახელეს როგორც გვარი ისე საყვარელი სამშობლო.

ყველა სახელოვანი გვარიშვილის ჩამოთვლა შეუძლებელია, თუმცა რამდენიმე გამორჩეული ცანავას პატივგება ურიგო ნამდვილად არა იქნება.

ცანავების გვარიდან აღნიშვნის ღირსია სასულიერო მოღვაწენი. მღვდელი **თევდორე ცანავა,** რომელიც 1864 წელს მსახურობდა ნახუნაოს წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში. იმავე წელს დიაკონი **ივანე ცანავა, ღვთის მსახურებას ეწეოდა ნახუნაოში, ხოლო** დიაკონი **ალექსანდრე ცანავა,** თბილისში ქაშვეთის ტაძარში 2013 წელს ეწეოდა მღვდელმსახურებასას.

კაპიტონ ცანავა ქართული ხალხური საკრავებისა და ხის მხატვრული დამუშავების ოსტატი გახლდათ. ხესა და ძვალში აცოცხლებდა ზღაპრულ ჩუქურთმებს, ქართულ კლასიკურ ორნამენტებს, ამასთანავე ქმნიდა ახალს. მან შექმნა სამი ათასზე მეტი ნამუშევარი, რომელიც ნებისმიერ მუზეუმს დაამშვენებდა. მისი ნახელავი მიურთმევიათ ინდოეთის პრეზიდენტ ჯავაჰარლალ ნერუსთვის, ეგვიპტის პრეზიდენტ გამალ აბდელ ნასერისთვის. კაპიტონ ცანავას ნამუშევრები დაცულია პეტერბურგის თეატრის, მუსიკის და კინემატოგრაფიის სახელმწიფო ინსტიტუტში, ერმიტაჟში, საქართველოს ხალხური და გამოყენებითი ხელოვნებისა და ზუგდიდის ისტორიულ არქეოლოგიურ მუზეუმში.

გვარის სახელოვანი წარმომადგენელია **გიორგი ცანავა,** რომელმაც თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი 1940 წელს დაამთავრა. დიდი სამამულო ომის მონაწილე ანესთეზიოლოგიისა და რეანიმატოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში. ქირურგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მინიჭებული ჰქონდა საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება;

ვალერიან ცანავა სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკია.

დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. 1988 წლიდან არის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემის აკადემიკოსი. 1995-2006 წლებში იყო სუბტროპიკული კულტურების და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტის დირექტორი. გამოქვეყნებული აქვს 200-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. მისი ღვაწლი აღინიშნა მთავრობის ჯილდოებით.

ლავრენტი ცანავამ მთელი შეგნებული ცხოვრება სამხედრო საქმეს და ქვეყნის უშიშროებას შეალია (ოფიციალური სახელი: ლავრენტი ჯანჯღავა).

სხვადასხვა დროს ის იყო საპასუხისმგებლო თანამდებობებზე, საქართველოს სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელის მოადგილე, ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, 1938-1952 წლებში იყო ბელარუსის სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი, შემდეგ, სახელმწიფო უშიშროების მინისტრი; საბჭოთა უშიშროების შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის დამსახურებული მუშაკი.

მიღებული ჰქონდა სახელმწიფო ჯილდოები. სტალინის პიროვნების კულტთან დაკავშირებით, 1953 წელს იგი დააპატიმრეს და იმავე წელს გარდაიცვალა ციხეში.

გიორგი ცანავა ქ. კალინინის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ იყო ვოლოგდის ოლქის ბაბაევოს რაიონული საავადმყოფოს მთავარი ექიმი; ქუთაისის ჯანდაცვის სამმართველოს უფროსის მოადგილე; 2002-2003 წლებში ქ. წალენჯიხის საკრებულოს თავმჯდომარე, საქართველოს მე-6 მოწვევის პარლამენტის წევრი. სამწუხაროდ, 2011 წელს გარდაიცვალა.

თამაზ ცანავამ, არქიტექტორმა, 1970 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი არქიტექტურის სპეციალობით. სხვადასხვა დროს მუშაობდა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე თავისი სპეციალობით.

მიმოზა ცანავა ცნობილი მწერალი და პოეტია. გამოცემული აქვს რამდენიმე კრებული: არის საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი; მიღებული აქვს ილია ჭავჭავაძის, გალაკტიონ ტაბიძის, ანა კალანდაძის, ტერენტი გრანელის სახელობის პრემიები, მინიჭებული აქვს ქართული კულტურის ამაგდარის წოდება, არის ზუგდიდის საპატიო მოქალაქე.

გუგა ცანავა პირველი ქართველია, რომელიც სტენფორდის ბიზნეს-სკოლაში ჩაირიცხა და ამჟამად წარმოადგენს სტენფორდის მსოფლიო ელჩს. ის ერთადერთი ქართველია, რომლის ბიოგრაფიაც ვიკიპედიაზე სტენფორდის ქოლგის ქვეშ იძებნება. პროფესიული განვითარების კუთხით იყო სტენფორდის სერტიფიცირებული პროექტის მენეჯერი (SCPM). ასევე გავლილი აქვს აღმასრულებელი განათლების კურსები ლიდერობასა და სტრატეგიაზე, ლექტორად იყო მიწვეული საფრანგეთში და კავკასიის ბიზნეს-სკოლაში.

2015 წლიდან დღემდე გუგა ცანავა მთელი რიგი ცნობილი კომპანიების აღმასრულებელი დირექტორი, დამფუძნებელი, საბჭოს წევრი და მრჩეველია. მსხვილ კომპანიებში მუშაობდა გენერალური მენეჯერის მოადგილედ. კონსულტანტობას უწევდა ათობით კომპანიას და ბანკს პრივატიზაციასა და რესტრუქტურიზაციის საკითხებში. გუგას დახმარებით საქართველოში ბევრი სტარტაპი დაწყებულა და ის დღემდე აგრძელებს ცნობილი ბრენდების თუ სხვა სახის ფირმების შემოყვანას ქართულ ბაზარზე.

თამარ ცანავა მუშაობს თბილისის 178-ე საჯარო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებლად. თამარი 2023 წლის „მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს“ საუკეთესო ათეულის წევრია.

ბედნიერია ის გვარი, ვისაც ასეთი სახელოვანი ადამიანები ჰყავს გაზრდილი და ღირსეული წვლილი შეაქვთ გვარის ისტორიის შექმნაში და სამშობლოს საკეთილდღეო შრომაში.

ვალერიან ლომიძე,

გვარეების წინამძღოლთა დარბაზის გამგეობის წევრი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.

ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომლები ვიკიპედიის წარმომადგენლებს შეხვდნენ

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომლები ქართული და უცხოური ვიკიპედიის წარმომადგენლებს შეხვდნენ. სტუმრებს ეროვნული ბიბლიოთეკის შესახებ ესაუბრა ეროვნული ბიბლიოთეკის მეცნიერების, კულტურისა და სამოქალაქო განათლების დეპარტამენტის დირექტორი ემზარ ჯგერენაია.

ეროვნული ბიბლიოთეკის მეცნიერების, კულტურისა და სამოქალაქო განათლებისა და საბიბლიოთეკო რესურსების დეპარტამენტის თანამშრომლებმა შვედური, უკრაინული და პოლონური ვიკიპედიის წარმომადგენლებს ეროვნული ბიბლიოთეკის ვებგვერდზე www.nplg.gov.ge განთავსებული ელექტრონული ბაზები გააცნეს.

სტუმრებმა დაათვალიერეს ეროვნული ბიბლიოთეკის შენობები. ჩაუტარდათ ექსკურსია წიგნის მუზეუმში.

„სატრანსპორტო დიპლომატიის ანბანი“

სატრანსპორტო დიპლომატია ერთიანი სატრანსპორტო სისტემის განვითარების მნიშვნელოვანი ბერკეტია

2024 წლის 16-17 აპრილს ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ ნიუ-იორკში, გაეროს შტაბბინაში ჩატარებულ გენერალური ასამბლეის საგანგებო შეხვედრაზე, რომელიც მიეძღვნა მდგრადი ტრანსპორტის პრობლემებს და სადაც ქართული მხარე საგანგებოდ იყო მიწვეული, გაიმართა წიგნის „**ABC of Transport Diplomacy**“-ის („სატრანსპორტო დიპლომატიის ანბანი“) პრეზენტაცია, რომელიც გამოიცა სატრანსპორტო დიპლომატიის საერთაშორისო ცენტრის მიერ და რომლის თანაავტორიც გახლავთ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული „საგზაო-სატრანსპორტო სისტემების სრულყოფისა და განვითარების პრობლემათა შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისიის“ თავმჯდომარე, აკადემიკოსი **თამაზ შილაკაძე**.





აღნიშნული წიგნი წარმოადგენს უნიკალურ სახელმძღვანელოს, რომელიც სატრანსპორტო დიპლომატიის შესწავლის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია.

სახელმძღვანელო აერთიანებს მეთოდოლოგიურ და საინფორმაციო მასალებს საერთაშორისო სატრანსპორტო პოლიტიკის მიმდინარეობის შესახებ, მათ შორის კლიმატის, საგზაო უსაფრთხოების გაუმჯობესების, მდგრადი ტრანსპორტისა და ნახშირბადის მობილობის, მულტიმოდალური სატრანსპორტო დერეფნების შემუშავებისა და მათი გაციფრულების საკითხების ჩათვლით.

* * *

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 26 აპრილის ბრძანებით საქართველოს დამსახურებულ ინჟინერსა და გამომგონებელს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდენტს, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების თავმჯდომარეს, არაერთი გამოგონებისა და მონოგრაფიის ავტორს, საქართველოს ღირსებისა და ღირსების საერთაშორისო ორდენების მფლობელს, თბილისის საპატიო მოქალაქეს **თამაზ შილაკაძეს** მიენიჭა ბათუმის საპატიო მოქალაქის წოდება საქართველოში ტექნიკურ-საინჟინრო მეცნიერების განვითარების, საგზაო-სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის შექმნისა და განახლების საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის.

ქალაქ ბათუმის
მუნიციპალიტეტის მერი
არჩილ ჩიქოვანი

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია გულითადად ულოცავს ბატონ თამაზ შილაკაძეს მსოფლიოს მეგასახელმწიფოში, ამერიკის შეერთებულ შტატებში მისი თანაავტორობით შექმნილი წიგნის პრეზენტაციას და მშობლიურ ქვეყანაში კიდევ ერთ აღიარებას – ბათუმის საპატიო მოქალაქეობას!

ეს ორი უმნიშვნელოვანესი ფაქტი იმდენად შთამბეჭდავი მოვლენაა, რომ ზედმეტი ხოტბის შესხმას აღარ საჭიროებს.

კვლავაც მხნედ და ახალი გამარჯვებებით, ჩვენო ერთგულო მეგობარო და დიდო მამულიშვილო!

ო, რა შორია და უვალი გზები ღმერთამდე...

ლია სტურუა იუბილარია!

15 მაისს ცნობილ ქართველ პოეტს ლია სტურუას 85 წელი შეუსრულდა. საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო და „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია ულოცავენ იუბილარს, დღეგრძელობასა და შემოქმედებით წარმატებებს უსურვებენ.



ლია სტურუა დაიბადა 1939 წლის 15 მაისს, თბილისში. 1957 წელს დაამთავრა თბილისის 24-ე საშუალო სკოლა. იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტზე. შემდეგ სწავლა განაგრძო ასპირანტურაში.

1957 წლიდან იწყება პოეტის შემოქმედებითი მოღვაწეობა. მუშაობდა უნივერსიტეტში – კითხულობდა ლექციებს, იმავდროულად, იყო შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი. 1999 წლიდან მუშაობს გალაკტიონ ტაბიძის მუზეუმში ლიტერატურულ კონსულტანტად.

პოეტის პირველი წიგნი, ლექსების კრებული „ხეები ქალაქში“, გამოიცა 1965 წელს. ლია სტურუას გამოცემული აქვს 12-ზე მეტი ლექსების კრებული, პროზაული კრებულები „ბედნიერი სიჩუმე“, „რძეში ჩავარდნილი ქვა“ (შეგრძნებების რომანი). წერს ესეებსა და წერილებს. მისი ლექსები თარგმნილია გერმანულ, ფრანგულ, ინგლისურ და ფინურ ენებზე. 1997 წელს ნორვეგიის ტელევიზიამ გადაიღო ფილმი ლია სტურუას ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

ლია სტურუას ბიოგრაფია ორგანულად ერწყმის გამოჩენილი ქართველი მოქანდაკის ელგუჯა ამაშუკელის ცხოვრებას. ისინი მრავალი წლის განმავლობაში ერთად „ვახშმობდნენ ფლამანდიური ნატურმორტებით“ და როცა მხატვრის ამქვეყნიური ცხოვრება დასრულდა, პოეტმა მას შეკითხვა დაადევნა: „შეგიძლია, წარმოიდგინო, როგორ გამეფშიკა ხელი, რომელსაც შენი მაჯით ვივსებდი?“

ლია სტურუა შოთა რუსთაველის, გალაკტიონ ტაბიძისა და საქართველოს სახელმწიფო პრემიების ლაურეატია. იგი არის ღირსების ორდენის კავალერი და თბილისის საპატიო მოქალაქე. დაცული აქვს დისერტაცია თემაზე: „ფერის მხატვრული ფუნქცია გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში“. პოეტმა საკუთარი ავტოპორტრეტი დახატა სტრიქონებით: „აგურის სახლივით ალისფერი ქალი, სულ ცოტა, სამი, მაგრამ თავი თუ გაიგიჟა, შვიდი ამღერებული კაცის სამშობლო“.

2023 წელს ქ. გენტში, საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით მიმდინარე საერთაშორისო ფესტივალზე „ევროპალია-საქართველო“, გაიმართა მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული ექვსი ქართველი პოეტი ქალის ლექსების სამენოვანი (ქართული, ფრანგული, ნიდერლანდური) კრებულის – „მე ბევრი ვარ“ – პრეზენტაცია. წიგნში თავმოყრილია ცნობილი ქართველი პოეტების, მათ შორის – ლია სტურუას ლექსები („ტყეს, რომელიც მიყვარს“; „სეზანი“; „რამდენი უპასუხობა“; „ზღვაზე ვფიქრობ“; „გაყინული ქუჩა“; „ადამიანის ხმა“).

ამაოების სონეტი

ან ვის რა ვთხოვო, რა ვეძიო, ვიქნები ჩემთვის,
ზამთარი ზაფხულს ენაცვლება, მზე — შემოდგომას,
პირის დაბანა, ჭამა, წოლა და ფეხზე დგომა,
ფართხალი, კრთომა, და მიგიღებს მდინარე ლეთა.
ერთფეროვნება გაქვავდება ფეროვან დღეთა,
ქარვაში მწერი, დალუქული, ვერ გაინძრევი,
იყვავილებენ ყაყაჩოთი შენი მინდვრები
და სისხლის ჭავლებს აასხამენ მაღლა, ღმერთამდე...
და ახლა შენს შვილს გააგიჟებს სამყაროს სევდა,
ერთნაირობა — წოლა, ჯდომა და ფეხზე დგომა,
ათასში ერთხელ გაბრძოლება, გრძნობათა კრთომა
და გულგრილობა დააჩქარებს სიკვდილს კვეთივით.
სახლებში მიდის ცრუ და ბასრი სიტყვების ომი,
ო, რა შორია და უვალი გზები ღმერთამდე...

უდიპლომო პრემიერი ირლანდიაში

ირლანდიას ახალი მეთაური ჰყავს. 9 აპრილიდან ქვეყნის პრემიერ-მინისტრი 38 წლის საიმონ ჰარისია. იგი დუბლინის მახლობლად, ერთ პატარა ქალაქში, ხელმოკლე ოჯახში დაიბადა. მამამისი ტაქსის მძღოლი იყო, დედა კი, სკოლის მასწავლებელი. სკოლის დამთავრების შემდეგ, საიმონ-ჰარისი დუბლინის ტექნოლოგიური ინსტიტუტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე სწავლობდა, მაგრამ ერთი წლის შემდეგ სასწავლებელი მიატოვა. ასე რომ, შეიძლება ითქვას, ირლანდიას უდიპლომო პრემიერ-მინისტრი მართავს.

უმაღლესი განათლების გარეშეა, მაგრამ, სამაგიეროდ, ნიჭიერი მწერალი და გასაოცარი ორატორია. ცამეტი წლისას სასკოლო თეატრისთვის პიესა დაუწერია. რაც შეეხება მის მჭევრმეტყველებას, მომაჯადოებელი საჯარო გამოსვლები აქვს. შრომისმოყვარეც ყოფილა: უსაქმოდ ვერასოდეს ვერ ნახავ, თურმე. სულ რაღაცის კეთებაშია. პოლიტიკურ ცხოვრებას ადრეულ ასაკში შეუდგა. თხუთმეტი წლის საიმონი აუტისტების უფლებების დამცველ არასამთავრობო ორგანიზაციაში მუშაობდა. მის ძმას აუტიზმის მსუბუქი ფორმა აქვს. შემდეგ კი, ირლანდიის ერთ-ერთი უძველესი პოლიტიკური პარტიის, ფინე-გაელის ახალგაზრდულ ორგანიზაციაში გაწევრიანდა. ეს არის ლიბერალურ-კონსერვატული და ქრისტიანულ-დემოკრატიული იდეოლოგიის მქონე მემარჯვენე-ცენტრისტული პოლიტიკური ძალა, რომელიც, 1932 წლის შემდეგ, ათჯერ იყო ირლანდიის სათავეში. საიმონ-ჰარისი ირლანდიის სენატში, თავისი პარტიის ფრაქციის აპარატში მუშაობდა. იყო ერთ-ერთი საგრაფოს საბჭოს წევრი, სადაც დღედაღამ დაუღალავად შრომობდა. პირადად და ხშირად ხვდებოდა მოსახლეობას, კარგად რომ ჩასწვდომოდა მათ პრობლემებს. 2011 წელს ჰარისი პარტიული სიით ირლანდიის პარლამენტში მოხვდა, რითაც ქვეყნის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა დეპუტატი გახდა. პარლამენტში, თავისი ორატორული ნიჭის წყალობით, ჰარისმა დიდი ავტორიტეტი მოიხვეჭა. გამოსვლებში ხშირად იყენებს ხოლმე ახალგაზრდულ ჟარგონს, რომელიც ფართო აუდიტორიას ხიბლავს. პარლამენტის ერთ-ერთ სხდომაზე ასეთი კურიოზი მოხდა: იმ დღეს მწვავე, ხმაურიანი კამათი იყო ირლანდიის საკანონმდებლო ორგანოში. ოპოზიცია ცდილობდა, ყვირილით გადაეფარა სხდომა. უცებ იმ დიდ ქაოსში, მშვიდი ხმა გაისმა, დაწყნარდით, ხალხო, რა გჭირთო. ეს უბრალო და უშუალო მოწოდება ზღვარგადასული პარლამენტის წევრების მიმართ საიმონ ჰარისს ეკუთვნოდა.

მისმა სიტყვებმა დარბაზზე მაგიური ძალით იმოქმედა და ყვირილი შეწყდა. მოულოდნელობისგან გამოფხიზლებული დეპუტატები სახტად დარჩნენ. 2014 წელს ოცდაშვიდი წლის საიმონ ჰარისი ირლანდიის ფინანსთა მინისტრის მოადგილედ დანიშნეს. ორი წლის შემდეგ, მან პრემიერ-მინისტრ ენდა კენის კაბინეტში ჯანდაცვის სამინისტრო ჩაიბარა, რომელიც ირლანდიაში ყველაზე რთულად სამართავ დარგადაა მიჩნეული. ამიტომ, ყველამ იფიქრა, ახალგაზრდა ჰარისი საქმეს ვერ გასწვდებოდა და მისი პოლიტიკური კარიერა ამით დასრულდებოდა. სინამდვილეში, პირიქით მოხდა: საიმონ ჰარისმა ხალხსაც და ისტებლიშმენტსაც დაუმტკიცა, რომ ასე ადვილად ხელწამოსაკრავი კაცი არ იყო. ოთხ წელიწადს იმუშავა ჯანდაცვის მინისტრად, თან, მისი მინისტრობა უმძიმეს დროს დაემთხვა. პირველი, ის, რომ პრემიერი ენდა კენი, 2017 წელს, გაუარესებული ჯანმრთელობის გამო, თანამდებობიდან გადადგა. მმართველმა პარტიამ პრემიერ-მინისტრად ლეო-ვარადკარი აირჩია, რომელმაც საიმონ ჰარისი თავისი კაბინეტის წევრად დატოვა. ჰარისის მინისტრობის მეორე დიდი გამოცდა კი, კოვიდის პანდემია იყო. ის ყველა გამოწვევას ბრწყინვალედ გაუმკლავდა. 2020 წელს ირლანდიის პრემიერმა კაბინეტში ცვლილებები განახორციელა. საიმონ ჰარისმა ჯანდაცვის მინისტრობიდან განათლების მინისტრის თანამდებობაზე გადაინაცვლა. ჩაითვალა, რომ ჰარისი დააქვეითეს, მაგრამ მან, როგორც უნიჭიერესმა ლიდერმა და პოლიტიკოსმა, აქაც გამოიჩინა თავი: შექმნა პროგრამა, სახელწოდებით, მომავლის დაფინანსება, რითაც უმაღლესი განათლების სასწავლებელთა მოდერნიზაცია მოახერხა. მიმდინარე წლის 24 მარტს, რეფერენდუმში დამარცხების გამო, ირლანდიის პრემიერ-მინისტრი ლეო ვარადკარი გადადგა. შეგახსენებთ, მმართველი პარტიის თაოსნობით, წელს ირლანდიაში რეფერენდუმი ჩატარდა, რომელიც კონსტიტუციაში ოჯახისა და ქალის სტატუსის შესახებ ცვლილებებს შეეხებოდა. ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობამ ვარადკარის მთავრობას ოჯახისა და ქალის სტატუსის ლიბერალიზაციის საკითხში მხარი არ დაუჭირა. პრემიერის გადადგომის გამო, მმართველ პარტიაში ლიდერის არჩევნები გამოცხადდა. ხმათა დიდი უმრავლესობით, პარტიამ უპირატესობა საიმონ ჰარისს მიანიჭა.

9 აპრილს ქვეყნის პარლამენტმა ის ირლანდიის პრემიერ-მინისტრად დაამტკიცა. ამით საიმონ ჰარისი ირლანდიის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა პრემიერ-მინისტრი გახდა. ვარადკარის გადადგომის გამო, ოპოზიცია რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას ითხოვს, მაგრამ ახალმა პრემიერმა ოპოზიციას და მთელს ირლანდიას განუცხადა, რომ ის არ ემხრობა რიგგარეშე არჩევნების ჩატარებას. მისი კაბინეტი კი, საარჩევნო ვადის ამოწურვამდე, ანუ მომავალი წლის ბოლომდე იმუშავებს. საიმონ ჰარისი უკრაინის დახმარების მომხრეა. მან ასეთი განცხადება გააკეთა: მიუხედავად იმისა, რომ ირლანდია ნეიტრალური სახელწიფოა, ჩვენ არ ვართ და არ შეგვიძლია ვიყოთ მორალურად ან პოლიტიკურად ნეიტრალური ქვეყანა. ამიტომ, განვაგრძობთ რუსეთის წინააღმდეგ ევროკავშირის სანქციების მხარდაჭერასა და უკრაინის დახმარებას.

საიმონ ჰარისი ბედნიერ ქორწინებაშია. მისი მეუღლე კაოიმჰე უეიდი კარდიოლოგიური კლინიკის ექთანია. ჰარისების წყვილს ქალ-ვაჟი ჰყავს. ამ რამდენიმე წლის წინ საიმონ ჰარისმა მასმედიას განუცხადა, რომ მას კრონის დაავადება აწუხებს. შეგახსენებთ, ეს არის კუჭ-ნაწლავის ქრონიკული ანთებითი პროცესი, რომელიც სიცოცხლეს არ ემუქრება, მაგრამ ადამიანს დიდად უშლის ხელს ყოველდღიურ ცხოვრებასა და საქმიანობაში.

ნუგზარ ბ. რუხაძე
POSTV

ვლადიმერ პუტინი: წლეულს რუსეთის სამხედრო ბიუჯეტი მთლიანი შიდა პროდუქტის 8.7 პროცენტი იქნება

ვლადიმერ პუტინმა რუსეთის თავდაცვის ახალი მინისტრი ანდრეი ბელოუსოვი სამხედრო ოლქების ხელმძღვანელებს წარუდგინა. გარდა ამისა, რუსეთის პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა რუსეთის თავდაცვის ყოფილ მინისტრს სერგეი შოიგუს ახალი შეიარაღებული ძალების მშენებლობაში გაწეული მუშაობისთვის.

„ბელოუსოვის დანიშვნა განპირობებულია იმით, რომ სამხედრო ხარჯები იზრდება. ეს არის დიდი რესურსი და ჩვენ ვალდებულნი ვართ, ძალიან ფრთხილად და ეფექტურად გამოვიყენოთ. სამხედრო ხარჯების გაზრდით, ყველა სოციალური ვალდებულება უნდა შესრულდეს. საუბარია განათლების, ჯანდაცვის განვითარებაზე, ვეტერანთა მხარდაჭერაზე, საპენსიო სერვისების მიწოდებაზე. ამავე დროს, თავდაცვის ხარჯები ბიძგს აძლევს ინდუსტრიულ განვითარებას. ეს ეგრეთ წოდებული ურთიერთობა „იარაღსა“ და „კარაქს“ შორის ორგანულად უნდა იყოს ინტეგრირებული რუსეთის სახელმწიფოს განვითარების საერთო სტრატეგიაში“, – განაცხადა ვლადიმერ პუტინმა.

რუსეთის პრეზიდენტმა ასევე აღნიშნა, რომ რუსეთმა უნდა უზრუნველყოს, რომ მის არმიას ჰქონდეს ყველაფერი უკრაინაში ამოცანების შესასრულებლად.

სლოვაკეთის პრემიერ რობერტ ფიცო ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრეს

სლოვაკეთის პრემიერ–მინისტრი რობერტ ფიცო ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრეს, – იუწყება **AP**. მისი ცნობით, პრემიერი ჰოსპიტალიზებულია.

როგორც მედია იტყობინება, შემთხვევა ქალაქ ჰანდლოვაში, ადგილობრივი კულტურის სახლის წინ მოხდა, სადაც ფიცო მხარდამჭერებთან შესახვედრად მივიდა.

პოლიციამ ეჭვმიტანილი დააკავა.

პოლიტიკური მოტივით დავესხი თავს

სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრზე თავდასხმისთვის დაკავებული აღიარებს, რომ რობერტ ფიცოს თავს პოლიტიკური მოტივით დაესხა.თავდამსხმელი 71 წლის მწერალი, ერთ-ერთი ლიბერალური პარტიის აქტივისტი იურაი ცინტულაა. სამართალდამცველებმა ის ადგილზე დააკავეს. მოგვიანებით, სლოვაკურმა მედიამ დაკავებულთან გასაუბრების ამსახველი კადრები გაავრცელა.

„მე მათ პოლიტიკას არ ვეთანხმები. რატომ ხდება მასობრივად მედიის საშუალებების ლიკვიდაცია? რატომ ესხმიან თავს **RTVS**-ს [სლოვაკეთის რადიო და ტელევიზია], რატომ გადააყენეს თანამდებობიდან [მოსამართლე იან] მაზაკი“?, – ამბობს თავდამსხმელი.

აფეთქება დიუსელდორფში

გერმანიის ქალაქ დიუსელდორფში გვიან ღამით აფეთქება მოხდა – დაიღუპა 3 და დაშავდა 16 ადამიანი.

როდესაც ადგილზე მეხანძრეები გამოცხადდნენ, ცეცხლი გავრცელებული იყო მრავალსართულიანი სახლის პირველ ორ სართულზე, იწვოდა შენობის შესასვლელი და სახლის სიახლოვეს მდგარი რამდენიმე ავტომობილიც.

ხანძრის ლიკვიდაცია მხოლოდ დილით მოხერხდა, ადგილზე 100-მდე მეხანძრე მუშაობდა/

უკრაინელები ხარკოვის სოფლებს ტოვებენ

ხარკოვის ოლქში უკრაინამ რამდენიმე სოფლიდან სამხედრო ნაწილები გამოიყვანა.

უკრაინის სამხედრო სპიკერის თქმით, ჯარისკაცები ორ წერტილში ძლიერი ცეცხლის ქვეშ მოექცნენ, რის შემდეგაც მათ „შედარებით უფრო ხელსაყრელ პოზიციებზე“ გადაინაცვლეს.

რუსული მხარის მტკიცებით, მათმა სამხედრო ნაწილებმა რეგიონში ორი დასახლება და კიდევ ერთი სოფელი დაიკავეს.

დღის ციტატები

კახა კალაძე:

„ოცნების“ ხელისუფლების ბედს გადაწყვეტს მისი აღმატებულება საქართველოს მოსახლეობა...

„უცხოელი პოლიტიკოსები საპროტესტო აქციაზე მივიდნენ და სიტყვით გამოვიდნენ. ეს არის პირდაპირი ჩარევა უცხო ქვეყნის საქმეებში“, – ამის შესახებ დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომაზე გუშინ განაცხადა.

როგორც მან აღნიშნა, ქვეყნის მოსახლეობას, შიდა თუ გარე ძალებმა პირდაპირ აუკრძალეს, ჰქონოდა ინფორმაცია „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის“ შესახებ კანონის შესახებ.

„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის“ შესახებ კანონი მიღებულია. ეს არის სრულიად ქართული კანონი, რომელმაც უნდა დაიცვას ჩვენი ქვეყნის ინტერესები, დაიცვას საქართველოს სუვერენიტეტი, დაიცვას ქვეყანა უცხოური ძალების გავლენებისგან, სახელმწიფო გადატრიალების საფრთხისგან, რათა შეძლოს საქართველოს მოსახლეობამ, მშვიდ და სტაბილურ გარემოში გამოხატოს საკუთარი ნება, გააკეთოს არჩევანი და თავად გადაწყვიტოს ქვეყნის ბედი. რასაკვირველია, ეს არ იყო მარტივი პროცესი. ჩვენს მოსახლეობას, შიდა თუ გარე ძალებმა პირდაპირ აუკრძალეს, ჰქონოდა ინფორმაცია, ვინ არის მოყვარე და ვინ მტერი. უფრო მეტიც, საზოგადოებას აუკრძალეს, გასცნობოდა კანონპროექტს და ემსჯელა მის ავკარგიანობაზე. მიუხედავად არაერთი შეთავაზებისა, კანონპროექტი გამხდარიყო ფართო მსჯელობის საგანი, ყველა მხრიდან იყო უგულებელყოფილი...

* * *

– გევრპერ მითქვამს და კიდევ გავიმეორებ – თუ ვინმეს სურვილი აქვს, ხელისუფლება შეცვალოს, ეს უნდა მოხდეს არჩევნების გზით. ამას გადაწყვეტს არა გარე ძალები და გარედან ჩარევა, არამედ მისი აღმატებულება საქართველოს მოსახლეობა. სწორედ ის იღებს გადაწყვეტილებას, ვინ უნდა იყოს ხელისუფლებაში და ვინ არა. საბედნიეროდ, დღეს ქვეყანაში გამოხატვის თავისუფლება დაცულია, ნებისმიერ ადამიანს აქვს უფლება მშვიდობიანი გზით გამოხატოს საკუთარი პროტესტი, თუმცა ჩვენ ვიხილეთ პროტესტის ძალადობრივი ფორმებიც, რომლის უკან რეალურად დგანან რადიკალი რევანშისტი პოლიტიკოსები, რომელთა დღის წესრიგში მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფო გადატრიალების გზით ხელისუფლებაში მოსვლაა, რადგან ზუსტად იციან, რომ არჩევნებით ამის არანაირი შანსი არ გააჩნიათ...

* * *

„სამწუხაროდ, ქვეყანაში არსებულ პოლარიზაციას ხელს უწყობენ უცხოელი პოლიტიკოსები. ამის საუკეთესო მაგალითი ვიხილეთ წინა დღეებში, როცა ისინი აქციაზე მივიდნენ და სიტყვით გამოვიდნენ. ეს არის პირდაპირი ჩარევა უცხო ქვეყნის საქმეებში. როგორ წარმოგიდგენიათ, რომ ჩვენი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი ჩავიდეს სომხეთში, ერევანში ან ნებისმიერ ქვეყანაში და ოპოზიციის მოწყობილ აქციაში მიიღოს მონაწილეობა? მინდა, მოსახლეობას გავახსენო გასული წლები - 2020 წელს, როდესაც საპარლამენტო არჩევნები დასრულდა, პარალელური დათვლები, რომელიც USAID-ის დაფინანსებით ჩატარდა, გააყალბეს. ამაზე დაყრდნობით, ოპოზიციას რევოლუციის მოწყობის მცდელობა ჰქონდა; 2021 წელს ჟურნალისტებს ჰქონდათ რევოლუციის მოწყობის მცდელობა; 2022 წელს არასამთავრობო ორგანიზაციები გვიწყობდნენ რევოლუციას; 2024 წელს კი, დონორების მიერ დაანონსებულ რევოლუციურ სცენარს ვხედავთ. ყველა მსგავსი სცენარი და რადიკალიზმი განწირულია მარცხისთვის“, - განაცხადა კახა კალაძემ.

– აღნიშნული კანონი მოგვცემს შესაძლებლობას, რომ ქვეყანაში მშვიდობა და სტაბილურობა შევინარჩუნოთ. დღეს ისე არაფერი სჭირდება ჩვენს ქვეყანას, როგორც სიმშვიდე. სავარაუდოდ, პრეზიდენტი გამოიყენებს ვეტოს უფლებას. პრემიერ-მინისტრმა უკვე განაცხადა, რომ ვეტოს შემთხვევაში, თუ რაიმე სამართლებრივი არგუმენტი არსებობს, რისი შესწორებაც შეიძლება, მზად ვართ თანამშრომლობისთვის. ასევე, საქართველოში მყოფმა აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ, ჯიმ ო'ბრაიენმა მკაფიოდ აღნიშნა, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ მთელი რიგი ნაბიჯები გადადგა ევროინტეგრაციის გზაზე და ქვეყნის ევროპული კურსი კონსტიტუციით გაამყარა. დიახ, საქართველოს არაფერი შეუშლის ხელს ევროინტეგრაციის გზაზე. ევროპული მომავალი ეს არის „ქართული ოცნების“ დაპირება და რაც მთავარია, ჩვენი ხალხის ურყევი სურვილი...

მამუკა მდინარაძე:

ვერავინ ვერ უნდა შეძლოს და გაბედოს ჩვენი ურთიერთ-დაპირისპირება

ვერავინ ვერ უნდა შეძლოს და გაბედოს, ერთი მხრივ, ჩვენი ქვეყნის მომავალი, პროგრესი, განვითარება და მეორე მხრივ, ქართული იდენტობა, ოჯახის პატივისცემა, კულტურა, რწმენა, ტრადიციები – ურთიერთდაპირისპირებულად წარმოაჩინოს! – ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი მამუკა მდინარაძე სოციალურ ქსელში წერს და აქვეყნებს ფოტოს, სადაც აღნიშნულია, რომ ის 17 მაისს უერთდება საპატრიარქოს მიერ დაგეგმილ მსვლელობას ოჯახის სიწმინდის დღესთან დაკავშირებით.

როგორც მდინარაძე აღნიშნავს, საქართველომ ხვალ კიდევ ერთხელ უნდა დაანახოს მსოფლიოს, თუ საღ და რა ღირებულებების მხარეს დგას ქართველი ხალხი. მისი თქმით, სწორედ ქართულ იდენტობაში, ოჯახის პატივისცემაში, კულტურასა და რწმენაშია საქართველოს ღირსეული ევროპული მომავლის, ქვეყნის გამთლიანების და გადარჩენის გასაღები.

სოზარ სუბარი:

კიდევ ერთხელ გამოჩნდა ოპოზიციის მოღალატეობა!

„აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ევროპისა და ევრაზიის საკითხებში ჯიმ ო'ბრაიენსა და პრემიერის შეხვედრაზე სანქციებთან დაკავშირებით საუბარი არ ყოფილა, თუმცა სანქციებზე საუბარი, როგორც ხმა გამოვიდა, იყო ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებთან შეხვედრაზე. მათგანვე გაირკვა, რომ ოპოზიციის წარმომადგენლები დაუინებით ითხოვდნენ საქართველოსთვის სანქციების დაწესებას. იმაზე მეტი მტრობა რა შეიძლება იყოს, როდესაც საქართველოს მოქალაქე, ქართველი პოლიტიკოსი ითხოვს ქვეყანას და ხელისუფლების წარმომადგენლებს დაუწესოს სანქციები რომელიმე უცხო ქვეყანამ, განსაკუთრებით როცა მეგობარ ქვეყანაზეა საუბარი. ამ შეხვედრით კიდევ ერთხელ გამოჩნდა ოპოზიციის წარმომადგენლების მოღალატეობა. მათ საქართველო არ აინტერესებთ. ისინი არიან უცხო ქვეყნის აგენტები.

როგორც აღვნიშნე, პრემიერთან სანქციებზე საუბარი არ ყოფილა. არც „რუსული კანონი“ და ის იარლიყები უხსენებია, რომელთა კანონზე მიწებებასაც ასე ცდილობენ. ამ იარლიყების მიწებებაში თავის დროზე დიდი როლი შეასრულა საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილმა ელჩმა კელი დეგნანმა. ერთ-ერთ ღია შეხვედრაზე მას ჰკითხეს, თუ რატომ საუბრობდა გამჭვირვალობის შესახებ კანონზე, როგორც რუსულ კანონზე, მით უმეტეს მაშინ, როცა ამ კანონში არაფერია რუსული. ელჩმა უპასუხა: ჩვენ ვიტყვით, რომ რუსულია და შემდეგ თქვენ იმტვრიეთ თავიო“, – განაცხადა სოზარ სუბარმა.

ლუკა ეხვაია:

ეს არის კლასიკური ეკონომიკური შანტაჟი

„გოლომდე წაიკითხეთ და გააზიარეთ, თი-ბი-სი და საქართველოს ბანკის აქციების ირგვლივ რაც ხდება, ესაა საზოგადოებაში პანიკის დათესვის მორიგი ხელოვნური მცდელობა!

ყოველთვის, როდესაც საუბრობენ დასავლეთის კულტურული პოლიტიკიდან მომდინარე საფრთხეებზე, როგორიცაა LGBTQ+ პროპაგანდა და ზოგადად, დასავლური კულტურული ჰეგემონია, მხედველობიდან რჩებათ, რომ აშშ-ის ჰეგემონიური პოზიციები უპირველესად სამხედრო ძალაზე და ეკონომიკურ თუ ფინანსურ საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ დამკვიდრებულ ნეოლიბერალურ წესრიგზე, იგივე „ვაშინგტონის კონსენსუსზე“ დგას.

აშშ, როგორც „დიდი ინკვიზიტორი“, თავისი გავლენებისა და კონტროლის შენარჩუნებას პერიფერიული, კოლონიური სახელმწიფოების ეკონომიკური ექსპლუატაციითა და ნეოლიბერალურ წესრიგში ჩაყენებით ახერხებდა.

ერთი მხრივ, თბს და საქართველოს ბანკის აქციების შემცირება შესაძლოა იყოს ამერიკისთვის დამახასიათებელი ეკონომიკური შანტაჟის კლასიკური სცენარი.

მეორე მხრივ, კი თუ დავაკვირდებით თი-ბი-სი და საქართველოს ბანკის აქციებს, მათი აქტივები თებერვლიდან უჩვეულოდ გაზრდილია, ახლა კი მხოლოდ ის ხდება, რომ სტანდარტულ ნიშნულს უბრუნდება.

მიმოიხედეთ გარშემო, ყველა, ვინც ამ თემით სპეკულირებს და პანიკის დათესვას ცდილობს, ანტისახელმწიფოებრივ საქმეს ეწევა“.

დავით უსუფაშვილი:

ბოიკოტი არ ნიშნავს პარლამენტიდან წასვლას!

პარტია „ლელოს“ წევრის დავით უსუფაშვილის განცხადებით, საპარლამენტო საქმიანობას ბოიკოტს უცხადებენ, თუმცა ეს არ ნიშნავს პარლამენტის დატოვებას.

„ბოიკოტი არის პლენარულ სხდომებში მონაწილეობაზე უარის თქმა, რაც შეიძლება გავრცელდეს კომიტეტებსა და სხვა აქტივობებზე. ჩვენ ბოიკოტს ვუცხადებთ პლენარულ სხდომებს, სადაც, საპარლამენტო მუშაობის გარდა, ხდება ყველაფერი – მანიპულაციები, პროცედურული დარღვევები. ბოიკოტი არ ნიშნავს პარლამენტიდან წასვლას. ხელისუფლებას არ მივცემთ საშუალებას, რომ კრიტიკულ საკითხებზე რეაქცია არ გვქონდეს. ვეტოს დაძლევა თავიანთი ხმებით შეუძლიათ, იქ ჩემი ყოფნა საჭირო არ არის. თუ მოვლენები სხვაგვარად განვითარდება, მზად ვართ, კრიტიკულ საკითხზე საპარლამენტო საქმიანობას დავუბრუნდეთ“, – განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

„ლელომ“ ბოიკოტის შესახებ გუშინ განაცხადა. პარტიაში თქვეს, რომ „ქართული ოცნება“ პოლიტიკური პროცესიდან არის გასული და ბოიკოტი არის ერთადერთი ლეგიტიმური გზა, რომლითაც რეჟიმს უნდა დაუპირისპირდნენ

◎ ლეგიონერები

დუბლი უკრაინაში

დონეცკის „შახტარმა“ სეზონი დუბლით დაასრულა და რამდენიმე დღის წინ მოგებული უკრაინის ჩემპიონის ტიტულის შემდეგ ქვეყნის თასიც მოიპოვა.

ფინალში დონეცკელებმა პოლტავის „ვორსკლა“ 2:1 დაამარცხეს, ხოლო **ირაკლი აზაროვმა** საგოლე პასი მიითვალა.

ქართველი ფეხბურთელის გადაცემით ანგარიში მე-40 წუთზე დანილო სიკანმა გახსნა. მეორე ნახევრის დასაწყისში კი ევგენი კონოპლიამ სხვაობა ორამდე გაზარდა, რასაც პოლტაველებმა პრესტიჟის გოლით უპასუხეს.

◎ სერია „ა“

საკვლევით ლოგიკურად

„ვირტუს მოლონიას“ კალათბურთელი თორნიკე შენგელია სერია A-ს სეზონის სიმბოლურ ხუთეულში მოხვდა.

ქართველი სერია A-ს ოფიციალურმა ვებ-გვერდმა გამოარჩია და მასთან ერთად სიმბოლურ ხუთეულში მარკო ბელინელი (ვირტუსი), პეიტონ ვილისი (პისტოია), რეიჯონ ტაკერი (ვენეცია) და მირო ბილანი (ბრეშა) მოხვდნენ.

„ტანმაღალი ქართველის მოძრაობები უნდა ისწავლებოდეს არა მარტო ბავშვთა კალათბურთში, არამედ სკოლაშიც ფიზიკულტურის გაკვეთილებზე. ჰარმონიულია მოძრაობები, რომლის ნახვა სასიამოვნოა და ნიჭის დამსახურებაცაა, რამაც საშუალება მისცა რეგულარული სეზონის სიმბოლურ ნაკრებში მოხვედრილიყო. ის გახდა ოქტომბრის MVP-ც.

რაც იტალიაში ჩამოვიდა, თვალისმომჭრელი კალათბურთი აჩვენა და რეგულარულ სეზონში „ვირტუსის“ პირველ ადგილში დიდი წვლილი შეიტანა. სამჯერ შეასრულა ორმაგი დუბლი (ქულებით და მოხსნებით), ზედიზედ 13 შეხვედრაში ორნიშნა ქულებს აგროვებდა და ყველაზე მეტი „ბრეშასთან“ ჩააგდო (27). საუკეთესო მარგი ქმედების კოეფიციენტი „ტრევიზოს“ წინააღმდეგ ჰქონდა (35). მისი საშუალო სტატისტიკა რეგულარულ სეზონში ასეთია: 23 წუთში 13.8 ქულა (56.6% ორქულიანი, 41% სამქულიანი და 81.5% საჯარიმო), 5.1 მოხსნა, 3.3 პასი, +9.5 პლუს/მინუსი (სერია A-ში მეორე საუკეთესო მაჩვენებელი) და 17.8 მარგი ქმედების კოეფიციენტი“, – წერს სერია A-ს ვებ-გვერდი.

შეგახსენებთ, რომ თორნიკე შენგელია სერია A-ში რეგულარული სეზონის საუკეთესო კალათბურთელთა შორის გამოკითხვის შედეგად მესამე ადგილზე გავიდა.

◎ ოვალური ბურთი

საფრანგეთში ივარჯიშებენ

საქართველოს 7-ქალა ნაკრები დღეს საფრანგეთის ქალაქ ტურში გაემგზავრება და რაგბი ევროპის ალაფვისთვის მზადების მიზნით თამაშებს გამართავს.

გოგონები 20 მაისს ტურის ორ გუნდთან ითამაშებენ, 24 მაისს კი ტურის ტრადიციულ ტურნირში ჩაერთვებიან, სადაც სხვადასხვა ქვეყნის კლუბებთან ერთად ჩეხეთის, ისრაელის და ანდორას ნაკრებები ითამაშებენ. საქართველო „დ“ ჯგუფში საფრანგეთის შეიარაღებული ძალების, ვურესის და მაიოტის წინააღმდეგ ითამაშებს.

ტურში 15 მოთამაშე მიდის. მათგან ორი დებიუტანტია. **„შემადგენლობა გამოცდილი და შედარებით ახალგაზდა მორაგბეების ნაზავს წარმოადგენს. გვყავს ორი დებიუტანტი – ნინო გუგუჩია და ანა რურუა. რურუას 18-წლამდე ნაკრებში უთამაშია, ეროვნულის სატურნირო შემადგენლობაში კი პირველადაა. დაგვიბრუნდა საკმაოდ გამოცდილი მოთამაშე ანა პოღოსიანი. მას გარკვეული წყვეტა ჰქონდა, მაგრამ გამოცდილება არსად იკარგება და კარგ ფიზიკურ კონდიციებშია. ის მაქსიმალურად იყო ჩართული მზადების პროცესში, დანარჩენი კი მოსამზადებელ თამაშებში გამოჩნდება“** – შემადგენლობასთან დაკავშირებით ამბობს მთავარი მწვრთნელი ჯაბა მალაღურაძე და განაგრძობს:

„თამაშის მხრივ გვაქვს პატარ-პატარა ცვლილებები და ტურში შევხედავთ, როგორ გადავიტანთ ამ ყველაფერს მოედანზე. ვნახავთ რა გამოგვდის ყველაზე კარგად, რაზე გავაკეთოთ სამომავლოდ აქცენტი და რა კორექტივები შევიტანოთ ჩვენს თამაშში. ვემზადებით ევროპის ალაფვისთვის და დიდი წყვეტის შემდეგ მნიშვნელოვანია სათამაშო გამოცდილების მიღება როგორც მოთამაშეებისთვის, ასევე ჩვენთვის, მწვრთნელებისთვის“.

რაც შეეხება რაგბი ევროპის ალაფვას, მისი პირველი ეტაპი 14-16 ივნისს ხორვატეთში, ზაგრებში გაიმართება და საქართველო „გ“ ჯგუფში ფინეთის, ისრაელის და ნორვეგიის წინააღმდეგ ითამაშებს. ალაფვის მეორე ეტაპს 12-14 ივლისს უნგრეთი, ბუდაპეშტი უმასპინძლებს.

„რაგბი ევროპაზე ჩვენი მიზანი უცვლელია – ჩემპიონატის საგზურის მოპოვება. ვფიქრობ, უკვე საკმარისი გამოცდილება დაგვიგროვდა, კარგად ვართ მომზადებული, მოთამაშეთა ხარისხი გაუმჯობესებულია და ეს აუცილებლად მოგვიტანს შედეგს“ – აღნიშნა მალაღურაძემ.

◎ აპენინებზე

თითქმის გადაწყდა...

ანტონიო კონტე „ნაპოლის“ მწვრთნელობასთან ძალიან ახლოსაა. ამის შესახებ მთელი რიგი იტალიური გამოცემები და ჟურნალისტები იტყობინებიან.

როგორც ცნობილი გახდა, კონტე თითქმის თანახმაა აურელიო დე ლაურენტისის შეთავაზებას საბოლოოდ დათანხმდეს, რომელიც თურმე, მას დღეში 3-4-ჯერ ურეკავს.

ცნობილია ფინანსური დეტალებიც: 3-წლიანი კონტრაქტი სეზონში 7 მილიონი ევროსა და ბონუსების ანაზღაურებით. დიდი შანსია, რომ „აძური“ სწორედ იტალიელმა სპეციალისტმა ჩაიბაროს, რომელიც ამჟამად უმუშევარია.

ყველაფერი უახლოეს დღეებში გადაწყდება. ფაქტია, რომ იტალიური პრესა კონტესა და „ნაპოლის“ შესახებ უკვე ძალიან აქტიურად წერს.

ანტონიო კონტე ბოლოს „ტოტენჰემში“ მუშაობდა, მანამდე კი „არეცოს“, „ბარის“, „ატალანტას“, „სიენას“, „იუვენტუსის“, იტალიის ნაკრების, „ჩელსის“ და „ინტერის“ თავკაციც იყო. თითქმის ყველგან კონტემ ხელშესახებ წარმატებას მიაღწია და იტალიაში ერთ-ერთ საუკეთესოდ მიიჩნევა.

◎ გამოიცა

„ქართული სული“ ოკინავაზე

„ქართული სული“ დაურქმევია ჩვენს ძვირფას კოლეგას ვაჟა სიმონიშვილს იაპონური შთაბეჭდილებებით დახუნძლული კრებულისთვის, რომელიც საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით გამოიცა (რედაქტორი გია ტუხაშვილი, დაკაბადონება მიხეილ ჯაში).

ეროვნული საკალათბურთო ნაკრების ისტორიული შარშანდელი სამუნდიალო დებიუტი დიახაც იმსახურებდა, მის პერიპეტიებს ასეთი პროფესიონალი კალმოსანი უშუალოდ მოვლენათა ეპიცენტრში რომ დასწრებოდა და ჩვეული ოსტატობით აესახა ფურცელზე. ვიმედოვნებთ, „ლელოს“ მხატვრული რედაქტორის მაგალითს მალე ოკინავაზე გადასხმული ქართული ჟურნალისტური დესანტის მეორე წევრი **გოჩა კაჭარავაც** მიბაძავს...

რაც შეეხება წიგნის სათაურს, მისი ავტორი შესავალში ჯვაროსანთა კაპიტან თორნიკე შენგელიას ციტირებას ახდენს: **„ნაკრების წევრებს იშვიათი ბედნიერება გვაქვს – ვითამაშოთ საქართველოს ღირსებისთვის, დავანახოთ მსოფლიოს, რას წარმოადგენს ჩვენი პატარა ქვეყანა, როგორია ქართული, მებრძოლი სული“.**

დავძენთ, რომ იქვე ვკითხულობთ: **„ეს წიგნი მხოლოდ კალათბურთზე როდია – კითხვას რომ დაასრულებთ, იაპონური კულტურის, იქაური რწმენა-წარმოდგენებისა და ისტორიის შესახებაც გარკვეული წარმოდგენა შეგექმნებათ“.**

ჰოდა, მეტი რაღა უნდა გულშემატკივარს?

◎ ტატამზე – **დასვენებაც საჭიროა** –

ძიუდოში მსოფლიოს ჩემპიონატისთვის საქართველოს ნაკრების შემადგენლობა ცნობილია, რომელიც საკმაოდ გადახალისებულია, რადგან წინ პარიზის ოლიმპიადაა.

გაორებულია სამი წონა – 73, 81 და +100 კგ. მთლიანობაში მსოფლიოს ჩემპიონატზე 12 ქართველი გამოვა – 9 ვაჟი და 3 ქალი.

საქართველოს ნაკრების შემადგენლობა 2024 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე:

60 კგ – გიორგი სარდალაშვილი, **66 კგ** – ვაჟა მარგველაშვილი, **73 კგ** – ლაშა შავდათუაშვილი, გიორგი ტერაშვილი, **81 კგ** – ტატო გრიგალაშვილი, დიმიტრი გოჩილაიძე, **90 კგ** – გიორგი ჯაბნიაშვილი, **+100 კგ** – გურამ თუშიშვილი, საბა ინანეიშვილი, **57 კგ** – ნინო ლოლაძე, **63 კგ** – ეთერ ასკილაშვილი, **+78 კგ** – სოფიო სომხიშვილი.

ძიუდოისტთა მსოფლიოს ჩემპიონატი 19-23 მაისს არაბთა გაერთიანებული საამიროების დედაქალაქ აბუ დაბიში გაიმართება.

ქართული ეროვნული პავილიონი კანის ფესტივალზე

14-25 მაისს ქ. კანში იმართება 77-ე საერთაშორისო კინოფესტივალი, რომელზეც საქართველოს ეროვნული კინოცენტრის პავილიონი გაიხსნა.

კულტურისა და სპორტის სამინისტროს, სსიპ-ის „აწარმოე საქართველოში" და ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით წარდგენილი საქართველოს პავილიონი წარმოაჩენს ქართული კინოს უმდიდრეს მემკვიდრეობას, წარადგენს ახალ პროექტებს, პოპულარიზაციას გაუწევს საქართველოს, როგორც აღმოსავლეთ ევროპაში კინოგადაღებებისთვის უმნიშვნელოვანეს ქვეყანას.

ქართული კინოს სათანადოდ წარდგენისა და პოპულარიზაციის მიზნით კინოცენტრის დელეგაციაში მონაწილეობს არაერთი ქართველი რეჟისორი და პროდიუსერი, რომლებიც შეძლებენ სხვადასხვა საპროდიუსერო კომპანიის წარმომადგენლების გაცნობას და დასახავენ გეგმებს, როგორც ერთობლივი პროდუქციის შესაქმნელად, ასევე, ქვეყნის კინოწარმოების განსავითარებლად. ეს ხელს შეუწყობს ქართველი კინოხელოვანების საერთაშორისო კავშირების განმტკიცებასა და მათი მიმდინარე პროექტების წარმატებას. კინორეჟისორებითა და პროდიუსერებით დაკომპლექტებულ დელეგაციას აქვს შესაძლებლობა, საკუთარი შემოქმედებით თუ სამომავლო პროექტებით დააინტერესოს ევროპული ბაზარი და ხელი შეუწყოს ქართული კინოს პოპულარიზაციას. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეროვნულმა კინოცენტრმა მიმდინარე წლის მარტში კანის საერთაშორისო კინოფესტივალის კინობაზრობაზე სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმების ჩვენების დაფინანსების მიზნით კონკურსი გამოაცხადა, რომლის შედეგადაც კინოფესტივალის ბაზრობაზე რეჟისორ თინათინ ყაჯრიშვილისა და პროდიუსერ ლაშა ხალვაშის ფილმის, ,,მოქალაქე წმინდანის", ჩვენება გაიმართება, რომელიც გადაღებულია საქართველოს ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით. ფილმი არაერთი საერთაშორისო ჯილდოს მფლობელია.

ევროპულ კინობაზრობაზე საქართველოს დელეგაციამ, რომელსაც ეროვნული კინოცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი კობა ხუბუნაია ხელმძღვანელობს, უკვე გამართა შეხვედრები საერთაშორისო კინომწარმოებლებთან, სადისტრიბუციო კომპანიების, საერთაშორისო კინო, ორგანიზაციებისა და ფონდების წარმომადგენლებთან. ფესტივალის განმავლობაში დაგეგმილია სამუშაო შეხვედრები პროდიუსერებთან, კომპანიების, კინოთეატრების, ონლაინპორტალებისა თუ საერთაშორისო კინოფესტივალების წარმომადგენლებთან.

დაიგეგმება პროექტები, რომლებიც საქართველოში უცხოურ ინვესტიციებს მოიზიდავს. ფესტივალის მსვლელობისას დაგეგმილია საქართველოს, როგორც კინოწარმოებისთვის მიმზიდველი ქვეყნის, რეკლამირება/პოპულარიზაცია. ამ მიზნით საქართველოს პავილიონში ეროვნული კინოცენტრის გუნდთან ერთად მუშაობენ პროგრამის – „გადაიღე საქართველოში" – წარმომადგენლები.

* * *

15-25 მაისს ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალზე ეროვნული კინოცენტრის წარმომადგენლებმა, ქართველმა რეჟისორებმა და პროდიუსერებმა მნიშვნელოვანი და წარმატებული შეხვედრები გამართეს სხვადასხვა ქვეყნის კინომწარმოებელ კომპანიებთან, პროდიუსერებთან, საერთაშორისო კინოფესტივალების პროგრამების შემდგენლებთან და არაერთი ერთობლივი პროექტი დაგეგმეს.

ქართულ და ევროპულ კინოს, ათწლეულებია, მჭიდრო ურთიერთობა აკავშირებს. სწორედ ამ ურთიერთობის გაღრმავებისა და მომავალი თანამშრომლობის პერსპექტივების წარმოსაჩენად იმყოფება წლევანდელ კანის კინოფესტივალზე საქართველოს კინოცენტრის წარმომადგენლობითი დელეგაცია.

ქუთაისში მალე ავტობუსის ქალი მძღოლები გამოჩნდებიან

პროექტი ხორციელდება საქართველოს ურბანული ტრანსპორტის განვითარების გენდერული სერვისების პროგრამის ფარგლებში. კურსი განკუთვნილია ქუთაისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალებისთვის, რომლებსაც სურვილი აქვთ, დაეუფლონ ავტობუსის მძღოლის პროფესიას.

ქუთაისის მერიაში გამართულ შეხვედრაში მონაწილეობდნენ ქუთაისის მერი იოსებ ხახალეიშვილი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის წარმომადგენელი სოფო ჩიხრაძე, ქუთაისის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს ხელმძღვანელი მაგდა კოსტავა, ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიის და დაინტერესებული სფეროების წარმომადგენლები.

პროექტის „ქალების ავტობუსის მძღოლებად მომზადების უფასო კურსის" პრეზენტაცია წარმოადგინა საქართველოს ურბანული ტრანსპორტის განვითარების გენდერული სერვისების პროგრამის ხელმძღვანელმა ნინო ესაკიამ.

„დ" კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღებად მონაწილეები გაივლიან თეორიულ და პრაქტიკულ სწავლებას. კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ, მონაწილეები მიიღებენ კურსის გავლის დამადასტურებელ მოწმობას.

კურსის დასრულების შემდეგ, კანდიდატები ავტობუსის მძღოლის „დ" კატეგორიის მართვის უფლების მისაღებ თეორიულ და პრაქტიკულ გამოცდაზე გასვლას შეძლებენ. კურსი სრულად ფარავს მომზადების, გამოცდაზე გასვლის, მართვის მოწმობის და ტრანსპორტირების ხარჯებს.

სულთათანა

ფელიქს შენგელია

1986 წლის 20 აგვისტოს საქართველო შეძრა ანაკლიაში დატრიალებულმა ტრაგედიამ – შავი ზღვის ტალღებმა ოთხი ღირსეული ქართველის სიცოცხლე შთანთქა. მათ შორის გახლდათ ახალგაზრდა მეცნიერი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიის ფაკულტეტის დოცენტი **ფელიქს შენგელია.**

კაპიტონ შენგელიასა და შუშანიკ კვარაცხელიას მრავალშვილიან ოჯახში აღზრდილმა ვაჟკაცმა დედაქალაქის მე-9 საავადმყოფოს თერაპევტ ცისანა თევზაიას დაუკავშირა ბედი და სამშობლოსთვის ერთადერთი ვაჟის – ლევან შენგელიას დატოვებაც უნდა მოესწრო, მაგრამ არსთა გამრიგემ მამასთან ერთად მისი უკვდავების ბინადრად ქცევაც ინება ისევე, როგორც უახლოესი ნათესავების – დავით და ვახტანგ კვარაცხელიებისა.

როცა შეუხორცებელ იარაზე ვსაუბრობთ, აუცილებლად მადლიერების სტრიქონები უნდა ვუძღვნათ წალენჯიხის რაიონის ულამაზეს სოფელ ნაკიფუს მკვიდრთა სამაგალითო ბიძაშვილ-მამიდაშვილობას, პირველ რიგში კი ცნობილი პოეტ-ჟურნალისტის რინოს კვარაცხელიას სახელი უნდა მოვიხსენიოთ, რომელთა ერთობა დიდი სოფლის მარადისობაშიც გრძელდება.

ახლახან, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულზე წითელი კვერცხები საფიცარ წინაპართა საფლავებზე ბატონი რინოსის მეუღლემ ლეილა მოლაშხიამ და ქალიშვილმა თამარმაც გადააგორეს.

უფალს ეგარეგოდეთ, ძვირფასებო!

მეგობრები

მდინარე ცხენისწყალმა ახალგაზრდა ქალის ცხედარი გამორიყა

ხონის მუნიციპალიტეტში, მდინარე ცხენისწყალმა ახალგაზრდა ქალის ცხედარი გამორიყა.

გავრცელებული ინფორმაციით, გარდაცვლილი, სავარაუდოდ, 27 წლის ანი პაპავაა, რომელსაც ახლობლები ხუთი დღის განმავლობაში ეძებდნენ.

ახლობლების თქმით, ბოლოს ის ქუთაისში ნახეს, საიდანაც მისი კვალი იკარგებოდა.

ჯრიმინალი

პარლამენტის შესასვლელთან განთავსებული რკინის დამცავი ჯებირის მიზანმიმართულად დაზიანებისთვის 2 პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ჯგუფურად ჩადენილი ნივთის დაზიანების ბრალდებით 2005 წელს დაბადებული ო.ო. და წარსულში ნასამართლევი 2001 წელს დაბადებული ს.მ. დააკავეს.

დანაშაული 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 14 მაისს, თბილისში, საკანონმდებლო ორგანოს შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე, მიმდინარე საპროტესტო აქციის დროს ს.მ.-მ და ო.ო.-მ სხვა პირებთან ერთად, როგორც ფიზიკური ძალის, ასევე, რკინის ნივთის გამოყენებით პარლამენტის შესასვლელთან განთავსებული რკინის დამცავი ჯებირი მიზანმიმართულად დააზიანეს.

შინაგან საქმეთა სამინისტრო დანაშაულში მონაწილე სხვა პირების დადგენა-დაკავების მიზნით საგამოძიებო მოქმედებებს აგრძელებს.

დის მკვლელი ძმა

გარდაბანში ძმამ და მოკლა. შემთხვევა გუშინ მოხდა.

გავრცელებული ინფორმაციით, ის ჯერ მანქანით დაეჯახა, შემდეგ კი, სასიკვდილო ჭრილობები ცივი იარაღით მიაყენა.

ეჭვმიტანილი ადგილიდან მიიმალა.

გარდაცვლილი ქალი 22 წლის იყო. მას ორი არასრულწლოვანი შვილი დარჩა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა 109-ე მუხლით დაიწყო, რაც დამამძიმებელ გარემოში ოჯახის წევრის განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

პროკურატურამ ანი სუბელიანის მამაზე თავდამსხმელს ბრალი წარუდგინა

საქართველოს პროკურატურამ, თ.ს.-ს მიმართ ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანების ფაქტზე ერთ პირს ბრალდება წარუდგინა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 11 მაისს, ქ. თბილისში, შალვა ნუცუბიძის მე-2 მ/რაიონის მიმდებარე ტერიტორიაზე, სიტყვიერი შელაპარაკებისას, თ.შ.-მ პირადი განაწყენების ნიადაგზე, შურისძიების მოტივით, მის მეზობელს თ.ს.-ს სახის არეში ხელი დაარტყა, რის შედეგადაც დაზარალებულმა ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება მიიღო.

თ.შ.-ს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლის პირველი ნაწილით (ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება) წარედგინა.

პროკურატურამ ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შუამდგომლობით სასამართლოს უკვე მიმართა.

„ცისფერი ყანწები“

მუზეუმების საერთაშორისო დღეს მასშტაბური გამოფენა გაიხსნება!

18 მაისს, მუზეუმების საერთაშორისო დღეს, გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი მასშტაბური გამოფენით აღნიშნავს. 18:00 საათზე, გაიხსნება გამოფენა – „ცისფერი ყანწები“, რომელიც ავანგარდულ-მოდერნისტული ლიტერატურული გაერთიანების შვიდი წევრის საიუბილეო თარიღს ეძღვნება (პაოლო იაშვილი – 130, ვალერიან გაფრინდაშვილი – 135, კოლაუ ნადირაძე – 130, გიორგი ლეონიძე – 125, შალვა აფხაიძე – 130, სანდრო ცირეკიძე – 130, შალვა კარმელი – 125).

ლიტერატურის მუზეუმის ინფორმაციით, გამოიფინება 13 ცისფერყანწელი მწერლის ბიოგრაფიისა და შემოქმედების ამსახველი 300-ზე მეტი ნიმუში: ფოტოები, პირადი და ოფიციალური მიმოწერა, მემორიალური ნივთები, უნიკალური გამოცემები; ასევე, ფართო საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი მხატვრების მიერ შესრულებული გრაფიკული, ფერწერული პორტრეტები, კარიკატურები.

საგამოფენოდ შერჩეული ნამუშევრები ეკუთვნით: ლადო გუდიაშვილს, კირილ ზდანევიჩს, ირაკლი გამრეკელს, ვასილი კროტკოვს, თეიმურაზ ყუბანეიშვილს, ოსკარ შმერლინგს, მიხეილ ჭიაურელს, დავით ნაცვლიშვილს (დონი).

გამოფენის მხარდამჭერია სამხრეთ კავკასიის კვლევის ამერიკული ინსტიტუტი (ARISC), რომლის დახმარებითაც 2023-2024 წლებში მუზეუმმა კვლევითი და საკონსერვაციო პროექტი განახორციელა.

„ცისფერი ყანწები“ ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის საგამოფენო დარბაზში 29 ივნისის ჩათვლით გასტანს.

ყველაზე ახალგაზრდა ქართველი ქველმოქმედი – გიორგი ვენკო

მან სკოლაში საქველმოქმედო აქციაზე, ასევე, მსოფლიოს მასშტაბით, 40 ათასი ევრო შეაგროვა და ბროწლიანის სათნოების სახლს მოახმარა. წყალი გაუყვანა და სახურავი გამოუცვალა.

თანაც, მან ეს 12-13 წლის ასაკში მოახერხა.

მიდგა, მოდგა, ვის აღარ მიმართა, საქველმოქმედო კონცერტიც გამართა და აი, ასე, ამდენ ადამიანს პირობები გაუუმჯობესა.

გიორგიმ საქველმოქმედო ფონდიც შექმნა – ,,დავეხმაროთ საქართველოს“.

ის დედით ქართველია, მამით – ამერიკელი. ჰოლანდიაში ცხოვრობს. დედისგან სწორედ იქ გაიგო ბროწლიანის პრობლემაზე.

გიორგი საქართველოში დააჯილდოვეს როგორც ყველაზე ახალგაზრდა ქველმოქმედი.

მისი უმცროსი ძმები ლევანი და თემურიც ქველმოქმედები არიან. ისინი საქართველოში მდებარე სხვა მოხუცთა თავშესაფრებს ეხმარებიან.

ასაკს დიდი მნიშვნელობა არ აქვს. მნიშვნელობა აქვს მოტივაციას, მიზანდასახულობას, ადამიანების სიყვარულს.

ევროკავშირი კვლავ რუსეთის ნავთობით სარგებლობს

გამოცემა Politico წერს, რომ რუსული ნავთობი ევროკავშირში სანქციების გვერდის ავლით ხვდება.

სტატიაში ნათქვამია, რომ ბოლო დროს ჩატარებული კვლევების მიხედვით რუსული ნავთობის ექსპორტს საბერძნეთი ახორციელებს, თუმცა ათენი ირწმუნება, რომ ევროკავშირის სანქციებს არ არღვევს და საბერძნეთში რუსული მარკირებით ნავთობპროდუქტები არ შედის.

Politico წერს, რომ ევროკავშირში იმპორტირებულ ნავთობზე მართლაც არ არის აღნიშვნა, რომ ის რუსულია, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მოსკოვმა სანქციების გვერდის ავლის გზები გამონახა.

უახლესი ლიტერატურა და ქართველ ემიგრანტთა არქივები ამერიკიდან

საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ ამერიკიდან საჩუქრად მიიღო 47 ყუთი უახლესი სასწავლო, სამეცნიერო ლიტერატურა სხვადასხვა დარგში, ასევე ამერიკაში მცხოვრებ პირველ ქართველ ემიგრანტთა ორი მნიშვნელოვანი არქივი.

ეროვნული ბიბლიოთეკის ინფორმაციით, წიგნები დაბეჭდილია ცნობილი გამომცემლობის, Nova Science Publisher-ის მიერ, რომელიც 1985 წელს ნიუ იორკში გამომცემელმა ფრანკ კოლუმბუსმა დააარსა. ფრანკ კოლუმბუსი მანამდე კემბრიჯის გამომცემლობის ვიცე-პრეზიდენტი იყო.

ამჟამად Nova Science Publisher-ი წელიწადში 1800-მდე ახალ წიგნს, უახლეს და საუკეთესო სამეცნიერო ლიტერატურას აქვეყნებს. ნაშრომები საერთაშორისო მონაცემთა ბაზებშიც არის განთავსებული.

უახლესი ლიტერატურა მალე ეროვნული ბიბლიოთეკის ანგლოამერიკულ დარბაზში განთავსდება.

სიცილი ჯანმრთელობაა

– **არ** დავინახო გემზე არც ერთი ქალი! ქალებს უბედურება მოაქვთ!

– **კაპიტანო,** თქვენს ორიენტაციას ნუ გვახვევთ თავს!

* * *

– **რაფაელ,** იცი, რომ მე ხშირად ღმერთს მადარებენ?!

– ეგ როგორ?

– რო მხედავენ, სულ ამბობენ: „ო, ღმერთო ჩემო, ისევ მოხვედი?!“

* * *

თამბაქოს მოსაწევად უფროსკლასელებს სკოლის უკანა ეზოში სირბილი რომ არ დაეწყოთ, ახალი შენობა ზედ ხრამის პირას ააშენეს.

* * *

ტელეგადაცემა „ყველაზე ჭკვიანის“ დროს წამყვანის კითხვაზე: „ჩამონათვალში – კომბოსტო, კარტოფილი, კიტრი, „მერსედესი“, რომელია ზედმეტი?“, პატარა გურამმა უპასუხა: „კომბოსტო, კარტოფილი, კიტრი“...

* * *

– **ალო,** მე ვარ, რას აკეთებ?

– არაფერს. სამსახურში ვარ, შენმა ზარმა გამომაღვიძა...

* * *

ცოლი კაცს იმისთვის სჭირდება, რომ ის თავისუფლების შეგრძნებით გამოწვეული სიხარულისგან არ გაგიჟდეს და საბოლოოდ არ გალოთდეს.

* * *

– **აბა,** წარმოიდგინეთ, რომ ხისტი არჩევანის წინაშე დაგაყენეს: – კაი მწვადები, ალკოჰოლი ან სექსი! რას მოიმოქმედებ?

– მწარედ ავქვითინდები!

* * *

გვიანი სიყვარული ზამთრის პლაჟს ჰგავს: ემოციები ძველებურად კი წამოგანათებს, მაგრამ ტანზე გახდა უკვე აღარ მოგინდება!

* * *

ამ დილით ბათუმის კაფე „დელფინში“ ზეინკალ ს. მ.-ს ნისიად დაალევინეს კათხა ლუდი და ასი გრამი არაყი. ასე რომ, დელფინმა კიდევ ერთი ადამიანის სიცოცხლე გადაარჩინა!

* * *

ძვირფასო, ვიდრე შევუღლდებოდით, მე გეუბნებოდი, რომ ჭეშმარიტ ქალში უნდა იყოს რაღაც იდუმალება! ის კი არ მითქვამს, რომ ქალი ალგებრული ამოცანების კრებულივით „ამოუცნობი“ უნდა იყოს!

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა.წერეთლის №116 (დიდუბე პლაზა)

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი
გია პლატონიშვილი
ოთარ ტურაბელიძე
თემურ ქორიძე

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი,

ოპერატორი
შორენა გვილია

რეკლამის მენეჯერი:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გამომცემელი:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“
გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35

იბეჭდება სტამბა
`KOLORSI~
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 20 მაისს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.7323; ევრო - 2.9577;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4460;
100 რუბლი - 2.9934; თურქული ლირა - 0.0847;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6060;
1000 სომხური დრამი - 7.0407

ამინდი 17 მაისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+5,	დღე	+22
მთიანი რაიონები -	ღამე	+2,	დღე	+19
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+7,	დღე	+21
მთიანი რაიონები -	ღამე	+2,	დღე	+17
თბილისი:	ღამე	+8,	დღე	+20

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge